ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 2011 №212 (5592) ფასი: 30 თეთრი

## თუშეთში გეი-ტურისტებს სცემეს

გვ.6



# ნანა დევდარიანი: „სააკაშვილს ხელისუფლების დათმობა არ სურს, მაგრამ მაგისთანები წასულან?“

გვ.2

„საზოგადოებამ არ უნდა მიიღოს ის ხელისუფლება, რომელიც არ მოსწონს“



## ფიქრია ჩიხრაძე: „ოპოზიციას გვირჩევნია, ამომრჩევლებს ვესაუბროთ, ვიდრე ერთმანეთს“



გვ.5

## დემოკრატია ღარიბების იდეოლოგიაა, ანუ რატომ ვერ გახდება საქართველო სინგაპური

გვ.7



გვ.4

## ეკუთვნის თუ არა პაატა დავითაიას ვიცე-სპიკერობა



გვ.3

## სომხები გარეგინ მეორის გადადგომას ითხოვენ

## შოთა უტიაშვილი: კვინტრაძის საქმეზე ექსპერტიზა უკვე ჩატარებულია და გამოძიება — დასრულებული

გვ.3





## ქდმ არჩევნებისთვის საეთერო სარეკლამო დროს ვერ იყენებს

გვ.4

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 დმანისთან მიწისძვრა მოხდა

5 „ოქროს უბანში“ 10 წლის წინ გადაკეტილი ქუჩები გაიხსნა

3 საბურთალოს ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება

6 მთავრობამ პენსიონერები უნდა დააზღვიოს

## გუდაუთის რაიონში სკოლის შენობა დაიწვა

5 სექტემბერს გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკში №1 საშუალო სკოლის შენობა დაიწვა. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „აპსნი პრესი“ ავრცელებს.

ეს საკითხი ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ფინანსთა მინისტრმა ბესლან კუბრავამ, განათლების დე ფაქტო მინისტრმა ინდირა ვარდანიამ და სახელმწიფო კომპანია „ ს„ გენერაურ დირექტორმა რუსლანა ტვანბამ დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან, ალექსანდრე ანქვაბთან გამართულ თათბირზე განიხილეს. მათი ინფორმაციით, სკოლის შენობა მთლიანად დაიწვა და სასწავლო პროცესი შეჩერებულია. ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

გუდაუთის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაცია მოსახლეობას სთავაზობს, რომ პრიმორსკის სკოლის 57 მოსწავლემ გუდაუთის №3 სკოლაში ავტობუსით იაროს.

ალექსანდრ ანქვაბმა რუსლანა ტვანბას მოუწოდა სპეციალისტების ჯგუფთან ერთად თავად ჩავიდეს შემთხვევის ადგილზე, შეისწავლოს სიტუაცია და მონაცემები დღის ბოლომდე წარუდგინოს.

ანქვაბმა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს.

**მედიანიუსი**

## სოხუმში აფეთქება მოხდა

6 სექტემბერს სოხუმში აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიჭრა.„აპსნი პრესის“ ინფორმაციით, სოხუმში ადლეიბას ქუჩაზე, აფეთქების ხმა დილით გაისმა.

სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ადგილობრივი მცხოვრები გიგლა ზანთარია მოათავსეს. მას ოპერაცია ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

არსებული ინფორმაციით, ზანთარია ხელყუმბარის გახსნას ცდილობდა, რასაც აფეთქება მოჰყვა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**მედიანიუსი**

## დმანისთან მიწისძვრა მოხდა



6 სექტემბერს საქართველოში მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი დმანისთან ახლოს დაფიქსირდა.

როგორც „მედიანიუსს“ სეისმური მონიტორინგის ცენტრის თანამშრომელმა მანანა ზმანაშვილმა განუცხადა, მიწისქვეშა ბიძგები საქართველოს დროით 04.35 საათზე დაფიქსირდა. მისმა სიმძლავრემ 2, 8 მაგნიტუდა შეადგინა.

— ეს არ არის ძლიერი მიწისძვრა და შესაბამისად, წუხანდელ მიწისძვრას ზიანი არ გამოუწვევია, — განუცხადა მედიანიუსს ზმანაშვილმა და დასძინა, რომ შესაძლებელია ამ მიწისძვრას განმეორებითი ბიძგებიც მოჰყვეს.

**მედიანიუსი**

# ნანა დევდარიანი: „სააკაშვილს ხელისუფლების დათმობა არ სურს, მაგრამ მაგისთანეები წასულან?“

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ ნანა დევდარიანთან




### „საზოგადოებამ არ უნდა მიიღოს ის ხელისუფლება, რომელიც არ მოსწონს“

***— ქალბატონო ნანა, ერთ-ერთი გამოსვლისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის, რაც ოპოზიციისთვის ზნეობად ითვლება, მთელი მსოფლიოსთვის დიდი უზნეობააო. თქვენ როგორ აღიქვით ეს სიტყვები და როგორ აფასებთ მის ასეთ განცხადებებს?***

— მე ეს არ მომისმენია. რასთან დაკავშირებით თქვა, რა იგულისხმა?

***— ის საუბრობდა იმაზე, თუ რაოდენ დიდ საქმეებს აკეთებენ და ამ დროს ოპოზიცია მას აკრიტიკებს...***

— მე სხვა ფრაზა მახსოვს — ვინც ყველაზე მეტს ლაპარაკობს ღირსებაზე, ისინი არიან ყველაზე უღირსოებიო. ამგვარი გამონათქვამები სააკაშვილს ბევრი აქვს. ეს გამონათქვამი არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება. ზნეობისა და მორალის კატეგორიებს პოლიტიკოსები არ განსაზღვრავენ. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს პრეზიდენტმაც და ნებისმიერმა პოლიტიკურმა ლიდერმაც. მეორეც — ეს კატეგორიები მათი შექმნილი არ არის. პარლამენტი არ იღებს ზნეობრივ და მორალურ ნორმებს. პარლამენტი ვერ დაადგენს, მაგალითად, რომ დედა უნდა გიყვარდეს, სამშობლო უნდა გიყვარდეს, გარყვნილი არ უნდა იყო და გარყვნილების პროპაგანდას არ უნდა ეწეოდე. პარლამენტს შეუძლია, სასჯელი დააწესოს ამა თუ იმ ზნეობისა და მორალის ნორმების დარღვევაზე. გააჩნია, რამდენად მძიმე იქნება ეს დარღვევები.

***— მეორე მხრივ, შესაფასებელია, ქვეყანაში ზნეობრივი პოლიტიკა ტარდება თუ არა, აქვს თუ არა უფლება დღევანდელ ხელისუფლებას ისაუბროს ზნეობაზე და იმაზე, რომ თვითონ ზნეობრივ პოლიტიკას ატარებს, დიდ საქმეებს აკეთებს და მას უფლება აქვს ეს ილაპარაკოს, ხოლო ოპოზიციას კი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, უფლება არ აქვს აკრიტიკოს ხელისუფლება?***

— დავიწყოთ იმით, რომ პოლიტიკა არ არის ზნეობრივი კატეგორიების სამჭედლო. როგორც გითხარით, პარლამენტის გადასაწყვეტი არ არის ზნეობრივი ნორმების დადგენა. პარლამენტმა და ზოგადად ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მის მოსახლეობას ფეხზე დააყენებს. ხელისუფლება არსებობს იმისთვის, რომ ხალხმა ნორმალურად იარსებოს. რამდენად ზნეობრივად გაკეთდება ეს, უკვე სხვა სამსჯელო საგანია. თუ არის ახლოს ზნეობასთან ის, რომ ხალხი აქ შიმშილით კვდება, ნაგვისა და შუქის გადასახადს ვერ იხდის, ამ დროს 2.000 კაცი ჩაეხვეტა კლაიპედაში (როგორც იქცეოდნენ, იმის კადრები ინტერნეტში დევს)? ამას ზნეობასთან კავშირი არა აქვს.

საქართველოში იყო დაუწერელი კანონი — ბავშვი უპატრონოდ არ რჩებოდა და ახლო თუ არა, შორეული ნათესავი მაინც წაიყვანდა და გაზრდიდა. მეორეც — ძღომით არც ერთი ოჯახი არ ჭამდა, როცა გვერდით ადამიანი ულუკმაპუროდ იყო. დღეს ასეთი სოლიდარობა არ არსებობს საქართველოში. ზნეობა და სოლიდარობა ერთი და იგივეა არსებულ სოციალურ ვითარებაში. ამ პირობებში, როცა ადამიანებმა არ იციან, თავისი 100 ლარიანი პენსიით რომელი ხვრელი ამოქოლონ და რა ქნან, წამალი და საჭმელი იყიდონ თუ გადასახადი გადაიხადონ, ასე უთავბოლოდ მილიონების ფრქვევას აქეთ-იქით ზნეობასთან საერთო არაფერი აქვს.

***— ნაციონალური მოძრაობის ზნეობრივი ქცევის მაგალითები არ გახსოვთ?***

— ძალიან უნდა დავფიქრდე, რომ გავიხსენო. ნაციონალური მოძრაობა არის პარტია. იმ პარტიაში არიან ზნეობრივიც და უზნეო ადამიანებიც. მიუხედავად იმისა, რომ მე ნაცმოძრაობის დამცველად ვერანაირად გამოვდგები, ყველას ერთ ქვაბში მაინც ვერ მოვხარშავ. იქ არიან ზნეობრივი ადამიანებიც და უსინდისო ადამიანებიც. ამიტომ ამას მთლიანად ნაციონალურ მოძრაობაზე ვერ ვიტყვი, ისევე, როგორც მთლიანად ოპოზიციაზე ვერ ვიტყვი. ოპოზიციაშიც არიან ზნეობრივი და უზნეო ადამიანები. ყველა უნდა განისაჯოს მისი საქციელის მიხედვით.

***— რატომ ვერ ხერხდება ის, რომ ხელისუფლება ასეთ ვითარებაში არ იყოს ჩაყენებული, რაშიც ის დღეს იმყოფება? თქვენ ბრძანეთ, რომ ადამიანი ძღომამდე არ მიირთმევდა, მის გვერდით თუ მშიერი ადამიანი იყოო, ანუ მას რაღაც აბრკოლებდა, ღირსება, ზნეობა ან რაღაც, რაც მისთვის იყო ძირეული...***

— არა მარტო ღირსება, ღვთის შიშიც ძალიან აბრკოლებს ადამიანს, რომ ის არ გააკეთოს, რაც მიუღებელი და უზნეოა. ადამიანს ძალიან ბევრ რაღაცას არ გააკეთებინებს ღვთისმოშიშობა. ვისთვისაც ღმერთი არ არსებობს, არ არსებობს ის ფასეულობები, რაზეც დგას მართლმადიდებლობა. მათ ჰგონიათ, რომ ეს ყველაფერი გუშინდელი დღეა, მათგან სხვა რის გაკეთებას მოელით? ეს, სხვათა შორის, მხოლოდ მართლმადიდებლობას არ ეხება. ყველა რელიგიას აქვს დაწერილი კანონები, რომელთაც არც ერთმა ადამიანმა არ უნდა გადაუხვიოს. მახსოვს დრო, როცა ათეიზმი იყო ქვეყანაში, მაგრამ იმ ათეისტური სახელმწიფოს დროსაც იყვნენ ძალიან მაღალზნეობრივი ადამიანები. თუ არა რელიგიური ნორმები, მაშინ რაღაც შინაგანი უნდა გაკავებდეს.

***— თანაც, როგორ შეიძლება პოლიტიკური პროცესი, რომელსაც ხელისუფლება წარმართავს, იყოს ნორმალური, თუ, როგორც ხელისუფლება ამბობს, თვითონ არის ზნეობრივი, ოპოზიცია კი — უზნეო და უღირსებო?***

— თუ არ ვცდები, ნოდარ დუმბაძეს „მზიან ღამეში“ აქვს ასეთი ეპიზოდი, რომ კაცს შეაძლევენ ქრთამს. ერთხელ შეაძლევენ, არ აიღებს. მეორედ შეაძლევენ, არ აიღებს. მესამეჯერ კი ეს ადამიანი გატყდება და ქრთამს აიღებს. აქ დუმბაძე სვამს გენიალურ შეკითხვას, ვინ უფრო უზნეოა — ის, ვინც პირველად და მეორედ არ აიღო, მესამედ კი ცდუნებას ვერ გაუძლო თუ ის, ვინც მეთოდურად აცდუნებდა? როცა სააკაშვილი ოპოზიციის უზნეობაზე ლაპარაკობს და, ალბათ, პარაშუტებს გულისხმობს, ვინ უფრო უზნეოა, ვინც ერთხელ არ აიღო, მეორედ არ აიღო და მესამედ ცდუნებას ვერ გაუძლო და გამოართვა, ან გაურიგდა ხელისუფლებას რამეზე თუ ხელისუფლება, რომელიც მეთოდურად აცდუნებს მის პოლიტიკურ ოპონენტებს? სხვათა შორის, ამას ჩემი და თქვენი ფულით აკეთებს, თავისი ჯიბიდან კი არა.

***— იმ პერიოდში, როცა ეს გუნდი — ე.წ. რეფორმატორთა ჯგუფი — შევარდნაძის ხელისუფლებაში იყო, თქვენ დეპუტატი იყავით. მაშინ რა შეხედულებები გქონდათ ამ ჯგუფზე და როგორ ხედავდით მათ მომავალს? თუ დაკვირვებიხართ ან გიფიქრიათ ამაზე?***

— როგორ არა, როგორ შეიძლება არ დაკვირვებოდი. მათი ერთი ნაწილი და, მათ შორის, სააკაშვილიც 1995 წელს გახდა პარლამენტის წევრი. მე 1992-დან 1995 წლამდე ვიყავი პარლამენტის წევრი და მერე უკვე 1999 წლიდან. 1992-95 წლის პარლამენტში იმ გუნდიდან იყვნენ ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე, ზურაბ ნოღაიდელი და რეზო ადამია. ეს იყო ძირითადად მწვანეთა ფრაქცია. 1995 წლიდან იწყება რეფორმატორული მოძრაობები, როცა ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარე ხდება, თორემ მანამდე ის იყო ერთ-ერთი ფრაქციის ლიდერი პარლამენტში. მხოლოდ მაშინ შეიძინა მისმა სიტყვამ ფასი, როცა ის ჯერ იმ პარლამენტის დროს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი გახდა, ხოლო 1995 წელს — პარლამენტის თავმჯდომარე. მე არც მაშინ მქონია ილუზიები და ძალიან ბევრი რამ, რაც არ მომწონდა, ვამბობდი. სტენოგრამების ამოღება შეიძლება. ზოგი პირდაპირ სხდომაზე მაქვს ნათქვამი, ზოგი — უმრავლესობის შეკრებაზე, ზოგიც სხვა სახის დახურულ შეკრებებზე.

***— როგორ მოხდა, რომ ისინი გახდნენ ქვეყნის ბედის გადამწყვეტნი? შეიძლება ვთქვათ, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა ინერტულობა გამოიჩინეს და ამით დაუთმეს ასპარეზი?***

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ჯგუფი ქვეყანაში ვერაფერს წყვეტდა, ვიდრე არ მოხდა რევოლუცია, პირდაპირ რომ ვთქვათ, გადატრიალება. მადლობა ღმერთს, უსისხლო, მაგრამ ის მაინც სახელმწიფო გადატრიალება იყო. მას შემდეგ, რაც ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს, ხელ-ფეხი გაეხსნათ. თორემ, მე, მაგალითად, შეიძლება არ მომწონდა რომელიმე მათი გამონათქვამი პარლამენტში, მაგრამ პარლამენტი ხომ სწორედ იმიტომ არსებობს, რომ იქ ყველანაირი აზრი ისმოდეს. ნორმალურ ქვეყანაში ისინი დარჩებოდნენ უმცირესობაში და ილაპარაკებდნენ ჩვენთვის მიუღებელ რაღაცეებზე, მაგრამ ეს ნორმალური იქნებოდა. პარლამენტში მოსახლეობის ეს სეგმენტიც იქნებოდა წარმოდგენილი. უბედურება ისაა, რომ მათ ხელისუფლება მთლიანად აიღეს ხელში, ყველა შტოს დაეუფლნენ და დაეპატრონნენ. რატომ მოხდა ეს? იმიტომ მოხდა, რომ მათ მიიღეს სერიოზული მხარდაჭერა ქვეყნის გარედან. ეს იყო როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ასევე რუსეთი. მოხდა ის, რაც აწყობდა ქვეყნის გარე ძალებს და არა ის, რაც ქართველ ხალხს სჭირდებოდა.

***— რამდენად დაძლევადია ასეთი პროცესები და ასეთი მოცემულობა, რომელსაც რაღაცნაირად ჩიხში შევყავართ, რადგან რევოლუციისა და უცხოური მხარდაჭერით მოსული ხელისუფლება მუდმივად არჩევნებს აყალბებს, არ იცავს კონსტიტუციას, ნორმალური არჩევნებით ხელისუფლების ცვლილება არ უნდა და მუდმივად ხელისუფლებაში ყოფნა სურს?***

— იმის პროგნოზირება, ეს ზუსტად როგორ და რანაირად უნდა გაკეთდეს, უმადური საქმეა. სააკაშვილის ხელისუფლება პირველი არ არის მსოფლიოში, რომელსაც ძალაუფლების დათმობა არ სურს, მაგრამ მაგისთანეები წასულან?! წავიდა მუბარაქი, კადაფი, თავისი სიკვდილით გარდაიცვალა და წავიდა არაფატი. მსოფლიო იცვლება, სამყარო იცვლება, ვითარება იცვლება და ეს ხელისუფლებაც მარადიული არ არის, მაგრამ ამაზე კი არ არის საუბარი, არამედ იმაზე, რომ საზოგადოება არ უნდა ეგუებოდეს ხელისუფლების ცალკეულ გადაწყვეტილებებს, რაც უშუალოდ მის ყოფაზე აისახება. საზოგადოება ხელისუფლებას ამას მუდმივად უნდა უპროტესტებდეს. იქ, სადაც საზოგადოებამ მტკიცე პროტესტი გამოხატა, მათ უკან დაიხიეს რამდენჯერმე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სომხები გარეგინ მეორის გადადგომას ითხოვენ

თეა მარხვაიძე

**სომხეთში გარეგინ მეორის წინააღმდეგ მორიგი კამპანია დაიწყო. ივლისის თვეში სომხეთის მოსახლეობამ სოციალური ქსელების მეშვეობით თავიანთი კათალიკოსის გადადგომა მოითხოვა. სომხეთში სულიერი ლიდერის მიმართ ხომ უკმაყოფილო დამოკიდებულებაა, ეს არაერთხელ გამოჩნდა. მისი საწინააღმდეგო წერილები იქაურ პრესაში ბევრჯერ გამოქვეყნდა. ამ მხრივ თავი განსაკუთრებით „არავოტმა" გამოიჩინა.**

სომხური და რუსული მედია იტყობინება, რომ სოციალურ ქსელებში გარეგინ მეორის წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია მიმდინარეობს.

კერძოდ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ამოქმედდა სამოქალაქო ინიციატივა, სახელწოდებით „მოვითხოვთ კათოლიკოსის გადადგომას“. მათ სომხეთის კათოლიკოსი ეკლესიების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში არაერთხელ ამხილეს.

სამოქალაქო ინიციატივის განცხადებაში ნათქვამია, რომ სომხური სამოციქულო ეკლესიის უმოქმედობის გამო სურბ ასტვაცაცინის ტაძარი სექტანტების თავშეყრის ადგილი გახდა.

— ეკლესიის ტერიტორია დღეს გარყვნილებისა და კრიმინალური გარჩევების ადგილია, რაზეც პასუხისმგებლობა გარეგინ მეორეს ეკისრება. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც კათოლიკოსმა თანამდებობდა უნდა დატოვოს, — ნათქვამია სამოქალაქო ინიციატივის განცხადებაში.

გარეგინ მეორის გადადგომის მოთხოვნით სამოქალაქო კამპანია „ფეისბუქში“ ცოტა ხნის წინ დაიწყო და თანდათან მასშტაბურ ხასიათს იძენს.

მათ მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გარეგინ მეორის თანამდებობის დატოვების ინიციატივას ერთ დღეში 1200 ადამიანი დაეთანხმა, 100 მომხმარებელი კი წინააღმდეგი წავიდა.

სომხები აცხადებენ, რომ გარეგინ მეორეს გულგრილი დამოკიდებულება აქვს სომხური ენის და სომეხი ხალხის მომავლის მიმართ, ასევე უყურადღებოა უძველესი სომხური ეკლესიების მიმართ.

სომხეთის კათოლიკოსის გადადგომის მომხრეები მას კორუმპირებული სასულიერო პირების არსებობასაც ედავებიან, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ სომხური ეკლესიის მომავალს.

სომხები გარეგინ მეორეს ეკლესიასა და ხალხს შორის ბარიერის შექმნაში, მის მიმართ სომეხი ხალხის უნდობლობაში და სომეხი სასულიერო პირების ბიზნესში ჩართვაშიც ადანაშაულებენ.

გარეგინ მეორის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შესახებ პირველი ინფორმაცია რამდენიმე თვის წინ გავრცელდა.

„როსბალტის“ ცნობით, ივლისში „ფეისბუქში“ ჩატარდა სპეციალური გამოკითხვა. სპეციალურმა ჯგუფმა კითხვა დასვა „ხართ თუ არა მომხრე, რომ გარეგინ მეორე სომხური სამოციქულო ეკლესიიდან განიკვეთოს?“.

პირველივე დღეს□ამ კითხვას 1560-მა ადამიანმა დადებითად უპასუხა, 221-მა კი უარყოფითი პასუხი გასცა.

„როსბალტის“ განმარტებით, სოციალურ ქსელში აღნიშნული გვერდის შექმნის მიზეზი გარეგინ მეორის განცხადება გახდა, იმის შესახებ, რომ მთებში მდებარე ეკლესიებთან მას არაფერი ესაქმება. აღნიშნული განცხადება გარეგინ მეორემ სანაინის სამონასტრო კომპლექსის აღდგენის საკითხზე საუბრისას გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ სანაინის სამონასტრო კომპლექსი ერთ-ერთი უძველესია და ის იუნესკომ თავის ნუსხაში შეიყვანა. გარეგინ მეორეს კი მასთან თურმე არაფერი ესაქმება.

არადა, გარეგინ მეორემ ცოტა ხნის წინ საქართველოში არსებული სომხური ეკლესიების გამო თავი გაინერვიულა. საქართველოში მისი ვიზიტი ყველას გახსოვთ. არც ის დაგავიწყდებოდათ, თუ როგორ აგრესიულად იქცეოდა ის ჩვენს პატრიარქთან შეხვედრისას. ამის გამო ზემოთ ნახსენებმა „არავოტმა“ გარეგინ მეორე უზრდელობაში დაადანაშაულა.


გარეგინ II

როგორც ირკვევა, გარეგინ მეორეს არ ადარდებს სომხეთში მდებარე სომხური ეკლესიების მდგომარეობა. ამ დროს კი საქართველოში არსებულ სადავო ეკლესიებზე ერთი ამბავი ატეხა.

ცოტა ხნის წინ „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა გარეგინ მეორის მიერ ობამასთვის მიწერილი წერილი.

გარეგინ მეორე ობამას საქართველოში რელიგიური უმცირესობების მიუღებელ მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილებას სთხოვდა

პორტალ „ვიკილიქსის“ ინფორმაციით, სრულიად სომხეთის კათოლიკოსმა გარეგინ მეორემ 2009 წელს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას წერილი მისწერა, რომელშიც იგი საქართველოში რელიგიური უმცირესობების მიუღებელ მდგომარეობაზე ყურადღების გამახვილებას ითხოვდა. ამის შესახებ, სომხეთში აშშ-ის ვიცეელჩის ჯოზეფ პენნინგტონის მოხსენებაშია საუბარი.

— როგორც სომხური ეკლესიის ლიდერმა, უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო 20 წლის წარუმატებელი გამოცდილება იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას მაძლევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში რელიგიის სფეროში სიტუაცია უცვლელი დარჩა. პირიქით, რელიგიური ცხოვრება საქართველოში, თუ არ ჩავთვლით ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, გაცილებით უფრო შეზღუდულია, რელიგიური და ეროვნული უმცირესობები კი ზეწოლას განიცდიან და შეუწყნარებლობის მსხვერპლნი ხდებიან. სომხური ეკლესიის ყოველგვარი მცდელობა, სომხური ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებასთან ეთანამშრომლა, ამაო იყო, — ნათქვამია წერილში.

ელჩის მოადგილის ინფორმაციით, გარეგინ მეორე და აქვე ორ პრობლემას ასახელებს — რელიგიური უმცირესობების სტატუსის არარსებობას და საქართველოს ხელისუფლების უარს, სხვა ეკლესიებისთვის მათ დაქვემდებარებაში არსებული უძრავი ქონება გადასცეს.

გარეგინ მეორე ბარაქ ობამას მიმართავს, რომ მან საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს, რათა ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ, ასევე სხვა რელიგიებმა ნორმალურ ატმოსფეროში ფუნქციონირება შეძლონ, ადამიანის უფლებებს კი პატივს სცემდნენ და იცავდნენ.

## ლეიბორისტები ბაღებში დაწესებული გადასახადის გაუქმებას ითხოვენ


პაატა ჯიბლაძე

ლეიბორისტული პარტია ბაღებში დაწესებული გადასახადის გაუქმებას მოითხოვს.როგორც პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ 6 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „წლების მანძილზე „ლეიბორისტული პარტიის“ მიერ ბრძოლით შენარჩუნებული უფასო ბაგა-ბაღები სააკაშვილ-უგულავას ტანდემმა ბავშვებისა და მათი მშობლების სავაჭრო-საძარცვავ დახლად აქცია“.

— წელს ბაღები არა მარტო ფასიანი გახადეს, არამედ იმდენად გათავხედდნენ, რომ დირექციების მეშვეობით მშობლებს ამა წლის 10 სექტემბრამდე მთელი თვის გადასახადის წინსწრებით გადახდას აიძულებენ, მაშინ, როდესაც საბავშვო ბაღები ფუნქციონირებას 15 სექტემბერიდან იწყებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობლებს მათ ბავშვების ბაღიდან გამოყრით ემუქრებიან, — განაცხადა ჯიბლაძემ და მიხეილ სააკაშვილს ბაღებში დაწესებული გადასახადის გაუქმებისკენ მოუწოდა.

**პირველი**

## გრიგოლ ვაშაძემ ბრიუსელში შეხვედრები გამართა


გრიგოლ ვაშაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში მან შეხვედრა გამართა ევროკომისართან საშინაო საქმეთა დარგში სესილია მალმსტრომთან.

შეხვედრაზე მხარეებმა გამარტივებული სავიზო რეჟიმისა და რეადმისიის შესახებ ისაუბრეს და განიხილეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული შეთანხმებების განხორციელების პროცესი. ევროკომისარმა დადებითად შეაფასა მიმდინარე ეტაპზე მიღწეული პროგრესი.

გრიგოლ ვაშაძემ და სესილია მალმსტრომმა ასევე ისაუბრეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

**მედიანიუსი**

## შოთა უტიაშვილი: კვინტრაძის საქმეზე ექსპერტიზა უკვე ჩატარებულია და გამოძიება დასრულებული

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურის უფროსის შოთა უტიაშვილის განცხადებით, მათ უკვე ჩაატარეს ექსპერტიზა, რომლის თანახმად ფოტოზე არა კვინტრაძე, არამედ სხვა ადამიანი, გიორგი ბაქრაძეა აღბეჭდილი, რომელიც ცოცხალია და ქარელის რაიონში ცხოვრობს.

ამ განცხადებით უტიაშვილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დღეს გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანხმად, სასამართლო ექსპერტიზის ბრიტანულმა ბიურომ დაადასტურა, რომ 26 მაისის ღამეს გადაღებულ ფოტოებში ნიკა კვინტრაძე დაკავებული და ცოცხალია აღბეჭდილი.

როგორც „მედიანიუსსთან“ საუბრისას უტიაშვილმა აღნიშნა, ის ენდობა იმას, რაც საკუთარი თვალით ნახა, ექსპერტიზის შედეგებს კი პირადად გაეცნო და ნახა, რომ ფოტოზე აღბეჭდილი პირი ცოცხალია.

— მე არ ვიცი, საიამ რა ექსპერტიზა ჩაატარა და რას ამბობს. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რისი მოწმეც და მცოდნეც თვითონ ვარ და რაც ჩემი თვალით მაქვს ნანახი. კვინტრაძის მეგობრის ჩვენების შემდეგ, რომ მან თითქოს ფოტოზე მისი მეგობარი ამოიცნო, გამოძიება დავიწყეთ და პირი, რომელიც ფოტოზე დაკავებულია გამოსახული, ვიპოვეთ. აღმოჩნდა, რომ ის ჯანმრთელი, ცოცხალია. ასვე ჩაუტარდა ექსპერტიზა კვინტრაძის ცხედარს და დადასტურდა, რომ მას სხეულზე დაზიანებები არ აღენიშებოდა.

შესაბამისად, გამოძიება დამთავრდა. რაც შეეხება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოწმის ჩვენებას, მათ, იმის მოწმეებიც ჰყავდათ, რომ 26 მაისის შემდეგ ათეულობით ადამიანი იყო დაკარგული, — განუცხადა „მედიანიუსს“ შოთა უტიაშვილმა.



შოთა უტიაშვილი

საის ცნობით, მათ ჰყავთ მოწმე, რომელიც აქციის დაშლის დროს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში იმალებოდა და დილით იმ მარკეტის სახურავის გავლით გაიქცა, რომელზეც შემდეგ ნიკა კვინტრაძე იპოვეს. მოწმის განცხადებით, მაშინ იქ არავითარი ცხედარი არ უნახავს.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საიას თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ კვინტრაძის ცხედარზე აღნიშნული დაზიანებებიდან და სხვა მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ კვინტრაძე პოლიციის სამმართველოში გადაყვანის შემდეგ დაიღუპა. შეგახსენებთ, რომ ოფიციალური ნფორმაციით, შსს ს თანამშრომლებმა ნიკა კვინტრაძის ცხედარი მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“ მდებარე მაღაზიის თავზე 27 მაისის დილას იპოვეს. მათი ცნობით, 26 მაისის ღამეს კვინტრაძე მაღაზიის სახურავზე დაიმალა, სადაც დენმა დაარტყა და გარდაიცვალა.

**მედიანიუსი**

## „რესპუბლიკური პარტია“: ნიკა კვინტრაძის საქმეზე სამართალდამცველების დანაშაული იკვეთება

„რესპუბლიკური პარტიის“ განცხადებით, ნიკა კვინტრაძის საქმეზე სამართალდამცველების დანაშაული და მათი ქმედების ორგანიზებული დაფარვა იკვეთება.

— მიხეილ სააკაშვილმა შექმნილ ვითარებაში უნდა გააკეთოს არჩევანი: ან მის ხელთ არსებულ ყველა საშუალების გამოყენებით უზრუნველყოს საქმის სწრაფი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება, ან თავადაც გახდეს ამ შემზარავი დანაშაულის დაფარვის უშუალო თანამონაწილე, — ამბობენ რესპუბლიკელები.

„რესპუბლიკელების“ განცხადებით, ბრიტანული სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თხოვნით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს, რომ ნიკა კვინტრაძე 26 მაისს პოლიციის მიერ იყო დაკავებული.

— შესაბამისად, საფუძველს კარგავს ხელისუფლების მიერ გავრცელებული ვერსია მისი გარდაცვალების მიზეზისა და მაღაზიის სახურავზე მისი გვამის 27 მაისს აღმოჩენის შესახებ. „რესპუბლიკური პარტია“ მიიჩნევს, რომ დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილ დანაშაულთან და ამ დანაშაულის დაფარვის ორგანიზებულ მცდელობასთან, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## მესტიაში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი შეიქმნა

მესტიაში ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი შეიქმა.

შტაბის მესტიის გამგებელი შმაგი ნაკანი ხელმძღვანელობს. მის შემადგენლობაში ასევე არიან ვიტია მარგიანი სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი; რატიანი ჯემალი გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციისა და გაწვევის სამსახურის უფროსი; კახიანი მაია — გამგეობის კულტურის, სპორტის, ტურიზმის სამსახურის უფროსი; ჭკადუა სერგო — სამეგრელო ზემო-სვანეთის სატყეო სამმართველოს წარმომადგენელი.

შტაბის შექმნასთან ერთად, მესტიის საკრებულომ მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმაც დაამტკიცა.

გეგმის დანიშნულებაა წინასწარ განისაზღვროს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებები, მათი თანმიმდევრობა და ჩატარებისათვის საჭირო ძალები და საშუალებები.

საგანგებო დახმარებაში 14 ფუნქცია შედის - საგანგებო მართვის უზრუნველყოფა; კავშირგაბმულობის და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა; მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა; საძიებო-სამაშველო საავარიო-სამაშველო და საავარიო აღდგენითი სამუშაოების ღონისძიებების უზრუნველყოფა; სატრანსპორტო უზრუნველყოფა; სამედიცინო უზრუნველყოფა; ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა; ენერგომომარაგების უზრუნველყოფა; მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა; მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება; საინჟინრო უზრუნველყოფა; სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფა.

**ინტერპრესნიუსი**

## საბურთალოს ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება

სარემონტო სამუშაოების გამო დღეს 10:00 საათიდან 16:00 საათამდე საბურთალოს რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება.

„თელასის“ ინფორმაციით, დროებითი შეზღუდვა შეეხება გამსახურდიას გამზირის, დოლიძის, ბალანჩივაძის და პანკისის ქუჩების მაცხოვრებლებს.

სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

**ინტერპრესნიუსი**

# ეკუთვნის თუ არა პაატა დავითაიას ვიცე-სპიკერობა

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის ბიუროს პირველ სხდომას კამათის გარეშე არ ჩაუვლია. კამათის მიზეზი ჯონდი ბაღათურია გახდა, თუმცა, თავად ბაღათურია ბიუროზე არ მისულა.**

უმრავლესობის ლიდერს პეტრე ცისკარიშვილს ახალი ფრაქცია გააკრიტიკა. მან ფრაქციას თანამდებობისთვის, მანქანებისთვის და კაბინეტებისთვის შექმნილი ფრაქცია უწოდა. საქმე ის არის, რომ ბაღათურიას ვიცე-სპიკერობა უნდა, უმრავლესობას კი მისი ვიცე-სპიკერად არჩევა არ სურს.

უმრავლესობის მშვიდი განწყობა ახალი ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა დაარღვია. მან უმრავლესობას მიმართა, რომ 15 ივლისს ახალი ფრაქცია შეიქმნა, რომელმაც ვიცე-სპიკერად ბაღათურიას კანდიდატურა წარადგინა. ცაგარეიშვილის განმარტებით, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ბაღათურიას ვიცე-სპიკერად წარდგენას მხარი არ დაუჭერა, რასაც ახალი ფრაქცია არ ეთანხმება.

ცაგარეიშვილმა ის ფაქტიც გაიხსენა, თუ როგორ მოხდა თავის დროზე ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ მიერ ვიცე-სპიკერად პაატა დავითაიას კანდიდატურის წარდგენა და ამას პოლიტიკური შეთანხმება უწოდა.

— ვინმეს არჩევა-არარჩევაზე ბიურო არ იღებს გადაწყვეტილებას, ისე არ უნდა წარმოჩნდეს, რომ პაატა დავითაიას ვიცე-სპიკერად არჩევა მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმება იყო, — მიმართა გიგი წერეთელმა გიორგი ცაგარეიშვილს.

ამის შემდეგ განმარტება საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თამჯდომარის მოადგილე დავით თოდრაძემ გააკეთა. მან ოპოზიციას რეგლამენტის ის მუხლი გააცნო, რომელიც ვიცე-სპიკერის კანდიდატურის დასახელებას შეეხება. თანაც იქვე განმარტა, რომ გაერთიანებული ოპოზიცია საარჩევნო სუბიექტი იყო, რომელმაც პაატა დავითაიას კანდიდატურა ვიცე-სპიკერად წარადგინა და ეს ადგილი დაკავებულია და ვაკანტური არ არის. თოდრაძემ ისიც თქვა, რომ ერთ შემთხვევაში შეიძლება ჯონდი ბაღათურიას ვიცე-სპიკერად არჩევა თუ პაატა დავითაია გადადგება და პარლამენტი ბაღათურიას კანდიდატურას დაუჭერს მხარს.

— ერთ საარჩევნო სუბიექტს თავმჯდომარის ორი მოადგილე ვერ ეყოლება,— განმარტა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ.

უკვე რამდენიმე კვირაა, რაც დავა მიდის იმაზე, არის თუ არა დავითაია გაერთიანებული ოპოზიციის მიერ წარდგენილი ვიცე-სპიკერი და თუ ეკუთვნის ვიცე-სპიკერობა დავითაიას, რატომ არ ეკუთვნის ჯონდი ბაღათურიას?

— გაერთიანებულ ოპოზიციას არავინ არ წარუდგენია ვიცე-სპიკერად. თუ წარადგინა, მაშინ მაჩვენეთ ბლანკი, რომელსაც ხელს აწერს ლევან გაჩეჩილაძე. ფრაქცია „ძლიერი საქართველო“ გაერთიანებულ ოპოზიციას არ წარმოადგენდა. დავითაიას პარტიამ „ჩვენ თვითონ“ გაერთიანებული ოპოზიცია 2008 წლის 27 მაისს დატოვა, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.


პაატა დავითაია

ახალი ფრაქციის თავმჯდომარე დავითაიას ვიცე-სპიკერობიდან გამოწვევას არ მოითხოვს, სამაგიეროდ, ამავე ფრაქციის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე არ გამორიცხავს, რომ ეს საკითხი დადგეს.

თავად პაატა დავითაია გუშინ ბიუროს არ ესწრებოდა. ის ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში იმყოფება.

ყველაზე მწვავე უმრავლესობის ლიდერის პეტრე ცისკარიშვილის განცხადება იყო. მან ცაგარეიშვილსა და ლორთქიფანიძეს მოუწოდა, რომ ერთმანეთში შეთანხმებულიყვნენ, რადგან ერთი დავითაიას გადარჩევას მოითხოვდა, მეორე კი —არა.



უმრავლესობის ლიდერმა აღნიშნა, რომ ახალი ფრაქცია ეკლექტური წარმონაქმნია, რომელშიც შედიან ნოღაიდელის, ალასანიას, ქართული დასის წევრები. უმრავლესობის ლიდერმა განმარტა, რომ ბაღათურიას ვიცე-სპიკერად არჩევა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ამის საშუალებას კანონი არ იძლევა.

— თუ გინდათ პოლიტიკური დევნის მანტია მოისხათ, გააგრძელეთ კამათი, — მიმართა ცისკარიშვილმა ოპოზიციას.

ამის შემდეგ ბიუროს სხდომის წამყვანმა გიგი წერეთელმა კამათი შეწყვიტა. ცაგარეიშვილმა და ცისკარიშვილმა განცხადებები ჟურნალისტების წინაშე გააკეთეს.

— მე ნაკლებად მაღელვებს, რას იტყვიან ახლადშექმნილ ფრაქციაზე პეტრე ცისკარიშვილი და უმრავლესობის წევრები. გასაგებია, რომ უმრავლესობის წევრები ძალიან შეშფოთებულები არიან. პირობას გაძლევთ, რომ მოსვენებას არ მივცემთ უმრავლესობას, ეს არის მთავარი. ჩვენ არაფერს ზედმეტს არ ვითხოვთ, იმას ვითხოვთ, რისი მოთხოვნის ლეგიტიმური უფლებაც გვაქვს. ანალოგია უნდა გავრცელდეს ჩვენს კანდიდატზე, ჯონდი ბაღათურიაზე. უმრავლესობას ეს არ უნდა, გასაგებია, რატომაც არ უნდა, მათ არ უნდა დამოუკიდებელი მოსაზრების ადამიანი, არმიბმული ხელისუფლებასთან გავაზე, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ცაგარეიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერი კი აცხადებს, რომ არანაირი ვაკანტური თანამდებობა არ არსებობს და ვერანაირი პოლიტიკური შეთანხმებით ვერ გადალახავენ კანონის ძალას.

— თავიდანვე, ფრაქციის შექმნის მომენტში ისინი ერთმანეთში მორიგდნენ და შეთანხმდნენ, რომ ზოგი ვიცე-სპიკერი იქნებოდა, ზოგი — ფრაქციის თავმჯდომარე. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ რეგლამენტით ეს შეუძლებელია. ახლა ცდილობენ, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი შესძინონ და წარმოაჩენენ, თითქოს ჩვენ ვდევნით და არ გვინდა, რომ ბატონი ჯონდი ვიცე-სპიკერად იქნეს არჩეული, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ცისკარიშვილმა.

უმრავლესობის ლიდერმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მათ წინასწარ ვერ გათვალეს, რომ ვიცე-სპიკერის ვაკანტური თანამდებობა არ არსებობდა.

— ბატონ ჯონდის შეჰპირდნენ და ასე მორიგდნენ, რომ ერთი იქნებოდა ვიცე-სპიკერი, მეორე — ფრაქციის თავმჯდომარე. აღმოჩნდა ისე, რომ ვიცე-სპიკერის თანამდებობა უკვე დაკავებულია ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან, მხედველობაში მყავს პაატა დავითაია და ახლა ცდილობენ, რომ ახალი ველოსიპედი გამოიგონონ, — აღნიშნა პეტრე ცისკარიშვილმა.

ამ განცხადების შემდეგ, ბუნებრივია, რომ ბაღათურია ვიცე-სპიკერი ვერ გახდება, რადგან მას უმრავლესობა არ უჭერს მხარს. უმრავლესობის გარეშე კი ეს საკითხი ვერ გადაწყდება.

მორიგი დაპირისპირება პარლამენტის სხდომაზეა მოსალოდნელი. ცაგარეიშვილის ფრაქცია ბაღათურიას ვიცე-სპიკერობისთვის ბრძოლას მომავალ კვირას, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააგრძელებს.

რაც შეეხება ბიუროს გუშინდელ სხდომას, მას ძირითადად ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები ესწრებოდნენ. სხდომას პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი უძღვებოდა.

უმრავლესობის ლიდერების ერთი ნაწილი საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს გულშემატკივრობს და ამიტომ ბიუროზე არ იმყოფებოდა. დეპუტატებმა კალათბურთელებს ევროპის ჩემპიონატის II ტურში გადასვლა მიულოცეს.

რა თანხებით წავიდნენ ქართველი დეპუტატები ლიტვაში?

ევროპის ჩემპიონატზე, ჩვენი საკალათბურთო ნაკრების საგულშემატკივროდ უმრავლესობის წევრებმა თანხები სავარაუდოდ საკუთარი ჯიბიდან გაიღეს.

გულშემატკივრებს შორის საქართველოს პარლამენტის წევრები საკმაოდ სოლიდური შემადგენლობით არის წარმოდგენილი. მათ შორის არის კომიტეტების რამდენიმე თავმჯდომარე. შესაბამისად, ისინი პარლამენტის საშემოდგომო სესიის ბიუროს პირველ სხდომას ვერ დაესწრნენ.

პარლამენტის აპარატის უფროსი დავით ჯანიაშვილი ამბობს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრების გასამგზავრებლად თანხა პარლამენტს არ გაუღია და ამ მიზნით პარლამენტის ბიუჯეტიდან, „არც ერთი თეთრი“ არ არის გამოყოფილი.

რაც შეეხება თანხის მმართველი პარტიის ფონდიდან შესაძლო გახარჯვას, პარტიის გენმდივანმა, ზურაბ მელიქიშვილმა ჟურნალისტებს ურჩია, რომ დაკავშირებოდნენ დეპუტატებს და პირადად ეკითხათ, თუ ვინ რა თანხით არის წასული.

## 60 წლის მამაკაცს 13 წლის მეზობლის გაუპატიურებაში ადანაშაულებენ

60 წლის მამაკაცს კახეთში 13 წლის მეზობლის გაუპატიურებაში ადანაშაულებენ.

როგორც „პირველს“ რადიო „ჰერეთიდან“ აცნობეს, შემთხვევა დედოფლისწყაროს რაიონში მოხდა.

— სოფელი ორად გაიყო. ნაწილი ამტკიცებს, რომ 60 წლის მამაკაცი 13 წლის გოგონასთან გარყვნილ ქმედებაში ნამდვილად არის შემჩნეული, დანარჩენები კი ამტკიცებენ, რომ გოგონამ ყველაფერი გამოიგონა და ასაკოვან მეზობელს მასთან სექსუალური კავშირი ძალის გამოყენებით არ დაუმყარებია, — იუწყება „ჰერეთი“.

რა მოხდა რეალურად, გამოძიება დაადგენს.

საქმეს დედოფლისწყაროს რაიონული პოლიცია იძიებს.

**პირველი**

## ქდმ არჩევნებისთვის საეთერო სარეკლამო დროს ვერ იყენებს

ქრისტიან-დემოკრატები თელავის შუალედურ არჩევნებისთვის ვერც ფასიან და ვერც უფასო საეთერო სარეკლამო დროს ვერ იყენებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქრისტიან-დემოკრატმა ლევან ვეფხვაძემ განუცხადა, შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით კანონში უცნაური ჩანაწერი არსებობს, რომლის მიხედვით ტელეკომპანიას შეუძლია პარტიას გამოუყოს უფასო სარეკლამო დრო იმ შემთხვევაში, თუ ფასიანს გაყიდის.


ლევან ვეფხვაძე

ნაციონალურმა არხებმა ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დროის გაყიდვაზე უარი თქვეს, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ არც უფასო დროს არ გამოყოფენ.

რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, ვეფხვაძის თქმით, ამ არხმა თავდაპირველად სარეკლამო დრო გამოყო, თუმცა შემდეგ უარი თქვა იმ არგუმენტით, რომ შუალედურ არჩევნებზე ამის ვალდებულება არ გააჩნია.

ვეფხვაძე აღნიშნავს, რომ გასაჩივრებას აზრი არ აქვს, რადგან თავად საკანონმდებლო ნორმაა ბუნდოვანი.

ლევან ვეფხვაძის განცხადებითვე, მაშინ, როდესაც ტელევიზიის მეშვეობით ყოველ ერთ საათში გადის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით შესრულებული კლიპი, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი ერთმნიშვნელოვნად ამცნობს საზოგადოებას, თუ რა კარგია, რომ ბოლო წლებში პენსია გაიზარდა, შუალედური არჩევნების წინ მასში მონაწილე პარტიებს აშკარა დისკრიმინაციულ მდგომარეობასი აყენებს.

— არ მგონია, ეს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ მოიწონოს, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ჟირინოვსკიმ მიკროფონი ძირს დაანარცხა



ვლადიმერ ჟირინოვსკი

რუსეთში ერთ-ერთ წინასაარჩევნო დებატების მიმდინარეობისას ტელეკომპანია „ენ-ტე-ვე“ს წამყვანის რეპლიკაზე გაგულისებულმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ მიკროფონი ძირს დანარცხა და წამყვანი უშვერი სიტყვებით მოიხსენია.

რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გაბრაზება გადაცემის წამყვანის რეპლიკამ გამოიწვია, რომლის თანხმადაც, ჟირინოვსკის პარტია რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში (დუმა) ადგილებით ვაჭრობს.

ჟირინოვსკის კითხვაზე თუ ვის მიჰყიდა მან დუმაში ადგილი, გადაცემის წამყვანმა მხოლოდ ერთი ადამიანი, აშოტ ეგიაზარიანი დაასახელა, რამაც ჟირინოვსკი კიდევ უფრო გააბრაზა და წამყვანს სახეში შეფურთხებით დაემუქრა. ამერიკული მედიასაშუალებების ინფორმაციით, ჟირინოვსკის თანამებრძოლი ეგიაზარიანი თაღლითობისთვის ინტერპოლის მიერ იძებნება.

**მედიანიუსი**

## ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანაში ადგილობრივი კადრების შემცირება დაიწყო

ქუთაისში, სულხან საბას დასახლებაში მდებარე მეტალურგიულ ქარხანაში ქართველი მუშა ხელის შემცირება დაიწყო.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის ინფორმაციით, რომ ქარხნის ხემძღვანელობას ინდოეთიდან სამუშაოდ 200 მუშა ჩამოჰყავს და სწორედ ამ მიზეზით დაიწყო მეტალურგიულ ქარხანაში ადგილობრივი კადრების შემცირება.

— დღევანდელი ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სფეროში გატარებული პოლიტიკის შედეგად ისედაც მწირ სამუშაო ადგილებზე ქართველების ნაცვლად უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქმდებიან, — აცხდებენ პარტიაში..

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ზვიად წაქაძე მიიჩნევს, რომ ქვეყნის და კონკრეტულად რაიონის ხელისუფლების ინტერესს საკუთარ მოსახლეობაზე ზრუნვა და მათი კეთილდღეობა უნდა აინტერესებდეს და არა პირიქით.

**მედიანიუსი**

## პროკურატურის სტაჟიორები საბაზისო მომზადების კურსს გადიან

იუსტიციის სასწავლო ცენტრში პროკურატურის სტაჟიორთა საბაზისო მომზადების კურსი დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, სწავლებას ღია კონკურსის წესით 823 პრეტენდენტიდან შერჩეული 62 სტაჟიორი ესწრება. ტრენინგი ძირითადად, პრაქტიკული საქმიანობის საკითხებს ეთმობა. მისი მონაწილეები შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სამართლებრივი წერა, ადამიანის უფლებები და ეფექტური კომუნიკაციის საკითხები. ტრენინგის ფარგლებში გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები.

სასწავლო კურსი 2010 წლის 5 სექტემბერს დაიწყო და ის ერთ თვეს გაგრძელდება. კურსის მიზანი მსმენელთათვის პროკურატურის სამუშაო სპეციფიკის გაცნობაა. 6 თვიანი სტაჟირება საქართველოს პროკურატურაში ანაზღაურებადია. სასწავლო კურსისა და სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში კი მსმენელები პროკურატურის ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობებზე დაინიშნებიან. სტაჟირების პროგრამა საქართველოს პროკურატურის პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. ღია კონკურსის წესით კადრების მოზიდვა პროკურატურის თანამშრომელთა მაღალი პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის გარანტია, რაც უწყების ეფექტურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

**ინტერპრესნიუსი**

# ფიქრია ჩიხრაძე: „ოპოზიციას გვირჩევნია, ამომრჩევლებს ვესაუბროთ, ვიდრე ერთმანეთს“

ნათია ხურცილავა

**სექტემბერში საქართველოში პოლიტიკური პროცესების გააქტიურებაა მოსალოდნელი. „ახალი თაობა“ ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთ ლიდერ ფიქრია ჩიხრა ეს ესაუბრა.**

*— ხელისუფლებამ დიდი ხანია, წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო, ოპოზიცია კი არ აქტიურობს. რატომ?*

— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტურები მკაფიოდ ჩანს. ბუნებრივია, პოლიტიკურ ძალებს მართებთ დაფიქრება, რომ არჩევნები არც ისე ახლოს არის. მაგრამ არც ისე შორს, რომ ამაზე არ ვიფიქროთ. თუმცა, ინტენსიური საარჩევნო კამპანია, რომელშიც ხელისუფლება იმყოფება, უკავშირდება იმას, რომ ბევრი არაპოპულარული ნაბიჯი გადადგა. აი, ამის საპირწონედაც მათ სჭირდებოდათ აქტივობა, რაც მინიმუმ გაანეიტრალებდა, თუ არ გადაფარავდა უარყოფით ნაბიჯებს. რაც შეეხება კამპანიურ ნაწილს, ვფიქრობ, შემოდგომა ამ მხრივ ძალიან საინტერესო იქნება.

*— თქვენ რას აპირებთ ამ მიმართულებით?*

— ახალი მემარჯვენეები დარჩენილ ერთ წელიწადს ამომრჩეველთან სამუშაოდ გამოვიყენებთ. ჩვენი კამპანია ძალიან აქტიური იქნება. წინა წლების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პოლიტიკური ძალები ბევრად უფრო მეტს ვსაუბრობდით ერთმანეთთან ურთიერობებზე, ვიდრე ამომრჩეველთან ურთიერთობაზე. ეს იყო თითოეული ჩვენგანის ხარვეზი. ამიტომ, ახალი მემარჯვენეები უახლოეს ხანებში განახლებული სახით წარვდგებით ჩვენი ამომრჩევლის წინაშე, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ დედაქალაქში.

*— მემარჯვენეებს ახალი სტრატეგია გექნებათ?*

— დიახ. ერთი მხრივ, იქნება ახალი სტრატეგია, მეორე, არ დაგიმალავთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად გვიწევდა გაერთიანებებში ყოფნა, რამაც ჩვენი პარტიული სტრუქტურა ერთგვარად დაასუსტა.

*— რატომ?*

— გაერთიანებები ძალიან რთულია პარტიული სტრუქტურებისთვის, განსაკუთრებით რაიონებში. ბევრი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ადამიანი მაშინ უკანა პლანზე აღმოჩნდა. ვერ გავითვალისწინეთ ბევრი პრეტენზია, რომელიც სამართლიანი აღმოჩნდა, რომელსაც ერთობის ხატრით არ გავუწიეთ ანგარიში. ამდენად, ეს ზაფხული ჩვენი პარტიული სტრუქტურის თავიდან მოწყობას და გაძლიერებას მოვახმარეთ. ძლიერი პოლიტიკური სტრუქტურის გარეშე წარმოუდგენელია არჩევნების მოგება.


ფიქრია ჩიხრაძე

*— მახსოვს, თქვენი პარტიის ლიდერი მზად იყო, რომ ალიანსის შენარჩუნებისთვის პარტიაც კი დაეშალა. 2012 წლის არჩევნებზე როგორ აპირებთ წარდგეთ, მარტო იქნებით თუ ისევ რაიმე სახის ერთობაზე შეიძლება იყოს საუბარი?*

— ალიანსზე საუბარს არ ვაპირებთ, მაგრამ ის, რომ ალიანსი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და არამხოლოდ ჩვენთვის, ვთვლიდით, რომ ქართული პოლიტიკისთვის, ამას ყოველთვის ვამბობდით და დღესაც ვადასტურებთ. ჩვენი მიზეზით არ მომხდარა ალიანსის დაშლა, მაგრამ რაც იყო, იყო, ეს არის პოლიტიკური რეალობა. როდესაც გაერთიანებებზე ვსაუბრობდი, ვგულისხმობდი, რომ ყველა პოლიტიკურმა ძალამ საკუთარი პოლიტიკური სახის კონტურები დაკარგა. მეტიც, ხშირად ისეთი რამეებიც იკარგებოდა გაერთიანებებში, რომლებიც ფუნდამენტურ საკითხებს უკავშირდება. მათ შორის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებსაც კი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ამომრჩეველს ზუსტად ვუთხრათ, რა მოსაზრებები გვაქვს პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.

*— რისთვის ემზადებით, ქალბატონო ფიქრია?*

— ჩვენ ვემზადებით ჩვენი პოლიტიკური შეთავაზებისთვის ამომრჩეველთან. ამ წუთში არ ვსაუბრობთ არანაირ გაერთიანებაზე. ეს არჩევნები საეტაპო მნიშვნელობისაა. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, ამომრჩეველს ჰქონდეს სწორი და კარგი არჩევანის საშუალება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით მოხდეს. ჩვენ ხელისუფლების შეცვლას ყოველთვის არჩევნების გზით ვუჭერდით მხარს. ოპოზიციის მთავარი ამოცანა არის ის, რომ 2012 წლის არჩევნებში დღევანდელი უმრავლესობა უმცირესობაში დავტოვოთ. მერე უკვე ყველაფერი შეგვიძლია დავინახოთ სხვანაირად.

*— რას გულისხმობთ?*

— კატაკლიზმების გარეშე, ქვეყანაში ქაოსისა და ნგრევის გარეშე. ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება ქართულ პოლიტიკას და საქართველოს მოსახლეობას.

*— რის შეთავაზებას აპირებთ თქვენი ამომრჩევლისთვის?*

— უახლოეს ხანებში ვაპირებთ ჩვენი სტრატეგიის შეთავაზებას. მთელი რიგი ღონისძიებები არის ამ მიმართულებით დაგეგმილი. პრობლემა, რომელსაც დღეს ყველა აღიარებს საქართველოში, არის მედიის ხელმისაწვდომობის პრობლემა. აქედან გამომდინარე, უალტერნატივოა ამომრჩეველთან პირადი ურთიერთობა. გარდა ამისა, ვთვლით, რომ უშუალო ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან დიდი ნიჰილიზმია ქართულ საზოგადოებაში გაჩენილი ოპოზიციის მიმართ. ამას აქვს ობიექტური ახსნა. ამის დაძლევაზე უნდა ვიმუშაოთ.

*— თქვენ ახსენეთ უმრავლესობის უმცირესობაში მოქცევა, რამდენად ადვილად წარმოგიდგენიათ ამის მიღწევა?*

— ადვილად ნამდვილად არ წარმომიდგენია. ძალიან სერიოზულად ვუყურებ ამ საკითხს. ეს არ არის ის დაპირება, რომ ჩვენ, ჰოპ დავიძახოთ და ნაციონალური მოძრაობა აღარ იყოს. ეს ბრძოლა ძალიან რთული იქნება. ძალიან დატვირთული პოლიტიკური პერიპეტიებით. როდესაც ვამბობ, რომ უმცირესობაში დავტოვოთ უმრავლესობა, არ ვგულისხმობ, რომ მხოლოდ მემარჯვენეებმა უნდა გავაკეთოთ ეს.

*— ამ შემთხვევაში ოპოზიციას პარტნიორად განიხილავთ?*

— ოპოზიციაში მყოფმა სოლიდურმა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა მოახერხონ ისეთი მხარდაჭერის მოპოვება, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ ჰქონდეს გადამწყვეტი უპირატესობა. ეს ამოცანა მიღწევადია, თუ ოპოზიცია სწორად იმუშავებს. ჩვენ ჩვენს წილს, ნამდვილად შევეცდებით, რომ გავაკეთოთ. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა პოლიტიკურ ძალებშიც იარსებებს ასეთი ხედვა. ბოლო წლების განმავლობაში შევეჩვიეთ, რომ ქუჩაში უნდა გამოვიდეთ და ასე, ერთი ხელის დაკვრით, შევცვლით ხელისუფლებას, მაგრამ ეს ილუზიები, ვფიქრობ, ნელ-ნელა დაცხრა.

*— თუმცა, ალასანია ამბობს, რომ ეს არჩევნები რევოლუციური იქნება. ფიქრობთ, რომ გაყალბების შემთხვევაში ოპოზიციას მოუწევს რევოლუციური განწყობების დაფიქსირება?*

— მირჩევნია, არჩევნებამდელ პერიოდში უფრო მეტი ვილაპარაკოთ არჩევნებში მისაღწევ შედეგზე ანუ ამომრჩევლის მომხრობაზე, ვიდრე ვილაპარაკოთ იმაზე, რომ არჩევნები მაინც გაყალბდება და მერე რევოლუციას მოვაწყობთ. მე არც ეს მგონია სწორი სტრატეგია, რომ იმთავითვე ეს იყოს ჩვენი ნიშნული. მთავარია, რომ ჩვენ ჩვენი საზოგადოების მოთხოვნას ვუპასუხოთ. პოლიტიკოსები მხოლოდ იმისთვის არ ვარსებობთ, რომ მხოლოდ ქუჩაში გავიდეთ და გავაპროტესტოთ. პოლიტიკური პარტია იმისთვის იქმნება, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრის სწორი ხედვა შესთავაზოს საზოგადოებას. ჩვენი ამოცანაა, ამომრჩეველი დავარწმუნოთ, რომ პრობლემების გადაჭრა ბევრად უკეთესად შეგვიძლია, ვიდრე ამ ხელისუფლებას.

## სააკაშვილმა ზინაიდა კვერენჩხილაძის ოჯახს მიუსამძიმრა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მწუხარება გამოხატა მსახიობისა და შემოქმედის ზინაიდა კვერენჩხილაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარი გამოუცხადა მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სამძიმრის წერილში, რომელიც პრეზიდენტმა ზინაიდა კვერენჩხილაძის ოჯახს გაუგზავნა, ხაზგასმულია, რომ იგი იყო არა მხოლოდ დამსახურებული ხელოვანი და მსახიობი, არამედ შესანიშნავი პიროვნება და პედაგოგი.

— ქალბატონი ზინაიდა ქართული თეატრის გამორჩეული სახე იყო. მისი განუმეორებელი ნიჭით, თვითმყოფადობით აღბეჭდილი კულტურული მემკვიდრეობა, რომელზეც თაობები აღიზარდა, აღსავსეა სილამაზითა და სიყვარულით. სრულიად საქართველოსთან ერთად ვიზიარებ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას, — აღნიშნულია სამძიმრის წერილში.

**ინტერპრესნიუსი**

## „ოქროს უბანში“ 10 წლის წინ გადაკეტილი ქუჩები გაიხსნა

თბილისის ჩუღურეთის რაიონში, კერძოდ „ოქროს უბანში“ 10 წლის წინ გადაკეტილი ქუჩები გაიხსნა.

ჩუბინაშვილის, ნინოშვილის, გოგოლის, ბორჯომის, დოლიძისა და ფიროსმანის ქუჩებზე ავტომობილების მოძრაობა რამდენიმე დღეში აღდგა.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, გზები ავტომობილებით მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით გაიხსნა. გზებზე მოძრაობის აღდგენა უკავშირდება ალმაშენებლის გამზირზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებსაც, რის გამოც ტრანსპორტის მოძრაობა იქ თითქმის შეუძლებელია.

როგორც მერიაშია ცხადებენ, აღნიშნულ ქუჩებზე მოძრაობის აღდგენა გავლენას არ მოახდენს იქ არსებულ ავარიულ შენობებზე.

შეგახსენებთ, რომ თბილისში 10 წლის წინ მოხდარი მიწისძვრის შემდეგ „ოქროს უბანში“ არსებული შენობების ავარიული მდგომარეობის გამო ქუჩები მოსახლეობამ გადაკეტა. „ოქროს უბანში“ შენობების უმრავლესობა ამორტიზებულია.

**მედიანიუსი**

## გურჯაანის საავადმყოფოს დირექტორი თანამდებობიდან მოხსნეს

გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს დირექტორი გელა ორველაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ის თანამდებობიდანსაავადმყოფოში არსებული მნიშვნელოვანი დარღვევების გამო გაათავისუფლეს.

სამსახურიდან ორველაშვილის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. თავად ორველაშვილი ამბობს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მისთვის არავის უცნობებია. მე ამის შესახებ არაფერი ვიცი და თქვენ ვინ გითხრათ? ტყუილია“, - აღნიშნა გელა ორველაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, გურჯაანის საავადმყოფოს დირექტორად ქირურგი ოთარ რუაძე დაინიშნა. ოთარ რუაძე გურჯაანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მანანა გოგაშვილის შვილია.

**პრაიმ-ნიუსი**

## გლდანის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება

ქვესადგურ „ზაჰესი-35“-ში სარემონტო სამუშაოების გამო დღეს 10:00 საათიდან 19:00 საათამდე გლდანის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება.

„თელასის“ ინფორმაციით, დროებით შეზღუდვა შეეხება ანდრონიკაშვილის, სხვიტორის, ხანძთელის, ზაჰესის, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩების მაცხოვრებლებს და ავჭალის შრომაგასწორებით კოლონიებს. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება დაუყოვნებლივ აღუდგებათ.

**ინტერპრესნიუსი**

## კახეთში ჯერჯერობით 100 ტონა ყურძენია მოკრეფილი

კახეთში ჯერჯერობით 100 ტონა ყურძენია მოკრეფილი.

„რთველი 2011“ -ის შტაბის ხელმძღვანელის ტარიელ გაბუნიას განცხადებით, რთველი დაწყებულია თუმცა, აქტიურ ფაზაში სექტემბრის შუა რიცხვებში შევა. მევენახეთა გათვლებით, სწორედ ამ დროისთვის მიაღწევს ყურძნის შაქრიანობა სასურველ რაოდენობას. ამჟამად ყურძნის კრეფა დედოფლისწყაროსა და სიღნაღში მიმდინარეობს. ყურძენს მხოლოდ ორი ქარხანა იბარებს.

„რთველი 2011“-ის შტაბის ხელმძღვანელის განცხადებით, რაიმე სახის პრობლემა ჩაბარებასთან დაკავშირებით არ შექმნილა. მისივე თქმით, მთლიანობაში ყურძნის ჩასაბარებლად კახეთში 30-მდე ქარხანა იქნება მზად. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით წელს რეგიონში 150 ათას ტონა მოსავალს ელოდებიან.

**პრაიმ-ნიუსი**

## ალასანია სააკაშვილსა და არველაძეს დებატებში იწვევს

ირაკლი ალასანია მიხეილ სააკაშვილსა და ტელეკომპანია იმედის„ ერთ-ერთ ხელმძღვანელ გიორგი არველაძეს დებატებში იწვევს.


გიორგი არველაძე

როგორც ალასანიამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, იმედის„ ტელევიზიით ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავისუფალი დემოკრატების„ წინააღმდეგ კომპრომატები და მაკომპრომატირებელი მასალები გაავრცელეს.

— მინდა მივმართო სააკაშვილსა და არველაძეს, თუ კაცობა ყოფნით, მე ვთავაზობ, რომ იმ უსაფუძვლო ბრალდებებზე, რაც გავრცელდა იმედის„ ეთერში, მოვაწყოთ დებატები. თუ შერჩენილი აქვთ თავმოყვარეობა, წამოვიდნენ დისკუსიაზე. მე მზად ვარ მათაც და საზოგადოებასაც პასუხი გავცე ყველა ბრალდებაზე, — განაცხადა ალასანიამ.

**მედიანიუსი**

## რუსმა ოპოზიციონერმა საქართველოს პრეზიდენტს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა

რუსი ოპოზიციონერი და საერთაშორისო კომიტეტის „კატინი-2“ თავმჯდომარე ანდრეი დერევიანკინი საქართველოს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს.



როგორც დერევიანკინმა განცხადა, რომ მან პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით საქართველოს პრესიდენტს მიხეილ სააკაშვილს უკვე მიმართა.

როგორც რუსი ოპეზიციონერი აცხადებს, მას სამჯერ მიუსაჯეს პატიმრობა და 2004 წლიდან გათავისუფლებისთანავე ისევ ოპოზიციურ საქმიანობას შეუდგა.

— 33 წელია მთავარობები მდევნიან. ბოლოდროინდელი დევნის მიზეზი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ჩემ მიერ გამოხატული პოზიცია გახდა. მე დავგმე და ყოველთვის ვგმობ რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, — განაცხადა ანდრეი დერევიანკინმა.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge


# თუშეთში გეიტურისტებს სცემეს

თეა მარხვაძე

**თუშეთი შეიძლება სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებმა საშიშ ადგილთა სიაში შეიყვანონ. ეს გასაკვირი სულაც არ იქნება, რადგან ამ ცოტა ხნის წინ თუშეთში სამი გეი-ტურისტი გალახეს. ნაცემმა და მორალურად შეურაცხყოფილმა ტურისტებმა მათთვის სახიფათო თუშეთი უკვე დატოვეს.**

— ეს ინფორმაცია ჩვენც გავიგეთ. დავინტერესდი, მოხდა თუ არა მსგავსი რამ. ომალოში ყველას ვკითხე. არავინ არაფერი იცოდა. ასეთი რამე რომ მომხდარიყო, არ დაიმალებოდა. ეს ჭორი იქნება, — განაცხადა „ახალ თაობასთან" საუბარში სოფელ ომალოში სასტუმრო „შინას" მეპატრონე ნათია ბაკურიძემ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ქართველი ახალგაზრდები, რომლებმაც ტურისტებს სცემეს, მაღალჩინოსნების შვილები არიან და სავარაუდოდ, მათ არავინ არ დასჯის.

ალბათ ეს ერთადერთი შემთხვევა იქნება, როცა ოპოზიცია ხელისუფლებას ამის გამო არ


კესელოს ციხე

გაამტყუნებს. ოპოზიციის და ხალხის პროტესტი მერე უნდა გენახათ, თუ იმ ტურისტების მცემელებს დააკავებდნენ.

გეი-ტურისტების ცემის შესახებ ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა. მათ ეს ინფორმაცია ერთ-ერთი ტურისტული კომპანიისგან მიიღეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ კომპანიამ ჩაიყვანა ტურისტები თუშეთში.

ინციდენტი, რომელიც სოციალურ ქსელებზე დიდი განსჯის საგანი გახდა, ულამაზეს სოფელ ომალოში მოხდა. ომალოელებს ბევრი რამე ახსოვთ, ლეკების შემოსევებიც, რუსული ავიაციის დაბომბვაც, მაგრამ ასეთი არაფერი უნახავთ. ჰოდა, ამიტომაც ატყდა ერთი ამბავი. აღსანიშნავია ისიც, რომ გეი-ტურისტები თუშებს არ უცემიათ. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გერმანელი ტურისტები (ისინი გერმანელები იყვნენ) ქართველმა ტურისტებმა გალახეს.

— ინციდენტი ერთი კვირის წინ, სოფელ ომალოში მოხდა. თუშეთში დასასვენებლად მყოფმა რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ სამი გერმანელი ტურისტი სუფრაზე მიიწვია. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც ტურისტებმა ერთმანეთს აკოცეს. ქართველმა ახალგაზრდებმა გერმანელ ტურისტებს ჯერ სცემეს, ხოლო შემდეგ ხელ-ფეხი შეუკრეს და მდინარეში გადაყარეს. ტურისტები წყლიდან ომალოს მცხოვრებლებმა ამოიყვანეს. ტურისტული კომპანიის წარმომადგენლის ცნობით, ადგილობრივებმა უზრუნველყვეს ტურისტების ბარში უსაფრთხო ტრანსპორტირება, საიდანაც ისინი თბილისში ჩავიდნენ და საქართველოდან გაემგზავრნენ, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

როგორც ჩანს, ადგილობრივებმა ვერ გაიგეს, რა მიზეზით გადაყარეს გერმანელი ტურისტები წყალში. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი-ორს ისინიც წაუთაქებდნენ და ამის გამო თუშებს სტუმარ-მასპინძლობას არავინ დაუწუნებდა.

როგორც ირკვევა, ნაცემ ტურისტებს პოლიციაში საჩივარი არ შეუტანიათ. ქართველთა „ველურობაზე" არც საკონსულოში დაუჩივლიათ. შესაბამისად, ახმეტის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის. უფრო მეტიც, გეი-ტურისტების ცემის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ. ამის შესახებ არც ახმეტის გამგეობაში სცოდნიათ რამე.

— ომალოში ახმეტის პოლიციის თანამშრომლები რეგულარულად პატრულირებენ. მით უფრო ზაფხულში, როცა თუშეთში ძალიან ბევრი ტურისტია, პოლიციის თანამშრომლები იქ ყოველთვის არიან. საგუშაგოც აქვთ, აეროპორტის მოპირდაპირე მხარეს. ტურისტების ცემის შესახებ ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს, — განაცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ახმეტის გამგებლის მოადგილემ ვაჟა ნასყიდაშვილმა.

„ახალი თაობა" შეეცადა, ინციდენტის დეტალები ომალოს მოსახლეობასთანაც გაერკვია.

ეს თემა გუშინ „ფეისბუქზე" დიდი ლადავის საბაბი გახდა. ერთი შეხედვით ეს სასაცილო იყო, მაგრამ ინციდენტი შეიძლებოდა მსხვერპლით დასრულებულიყო. ამიტომ კარგი იქნება თუ ტურისტული კომპანიები თავიანთ კლიენტებს უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდიან საქართველოს შესახებ.

მართალია ნატოს გზას ვადგავართ და ევროპელობასაც „ვაწვებით", მაგრამ სექსუალური ორიენტაციის ხალხს ჩვენთან ისევ არ სწყალობენ. ქუჩაში ნაზი მანერების გამო მართალია არავის სცემენ, მაგრამ სუფრაზე კაცების კოცნას ვერავინ აიტანს, მით უმეტეს, მთაში. იქ დღემდე სხვა პრინციპებით ცხოვრობენ.

თუშეთში ტურისტების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. ამ საქმით ბევრი კომპანიაა დაკავებული. კარგი იქნება თუ ეტყვიან თავიანთ კლიენტებს, რომ გრძნობების საჯაროდ გამოხატვა საჭირო არ არის და ის ხანდახან სიცოცხლისთვის სარისკოც კია.

აქ ტურისტული სეზონი მალე დასრულდება. როგორც თუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი ანზორ გოგოთიძე აცხადებს, თუშეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა 20 ოქტომბერს დაიხურება.

— ბუნებრივი, ხელუხლებელი ეკოსისტემები დღეს უკვე იშვიათობაა. თუშეთის ეროვნული პარკი კი მსოფლიოში გამოირჩევა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისათვის, რომ ყურადღება მივიპყროთ. გარდა ამისა, კეთილმოწყობილია ინფრასტრუქტურა. თუშეთში 28 საოჯახო სასტუმრო ფუნქციონირებს. ნატურალური პროდუქტები, გაუმჯობესებული საუბნო გზები, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში დამონტაჟებული მზის განათების სისტემები, ამ ყველაფერმა თუშეთში ტურიზმის განვითარებას ხელი შეუწყო. 2010 წლის აგვისტოში თუშეთს 2 618 ტურისტი ეწვია, წელს კი მათი რიცხვი 3 200-მდე გაიზარდა. მიმდინარე სეზონზე სამ თვეში სულ 6 615 ვიზიტორია დაფიქსირებული. თუშეთს სტუმრობდნენ ჩეხები, გერმანელები, ამერიკელები, ფრანგები, უკრაინელები და ადგილობრივი ტურისტებიც, — აღნიშნა ანზორ გოგოთიძემ.

ახმეტის რაიონის სოფელ ალვანიდან თუშეთამდე ტრანსპორტი შეუფერხებლად დადის. მგზავრობა 50 ლარი ღირს, სასტუმროს მომსახურება კი დღეში სამჯერადი კვებით 50 ლარი.

სექტემბრიდან ვიზიტორების მოზიდვის მიზნით, საოჯახო სასტუმროებში ფასდაკლება იქნება.

საეჭვოა, რომ ერთი კვირის წინ მომხდარმა ინციდენტმა ტურისტების რაოდენობა შეამციროს.

## ალასანია დაუსაქმებელთა ცენტრის შექმნას ითხოვს

„თავისუფალი დემოკრატები" დაუსაქმებელთა ცენტრის შექმნის ინიციატივით გამოდიან და ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიისაკენ მოუწოდებენ.

როგორც გუშინ შრომის, ჯანმრთელეობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, დღეს ქვეყანაში მთავარ პრობლემას დაუსაქმებლობა წარმოადგენს და მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები დაუსაქმებლობასთან დაკავშირებით დამახინჯებულია.

— ხელისუფლების მონაცემებით, შარშან დაუსაქმებელთა პროცენტული რაოდენობა ცოტათი აღემატებოდა 16 პროცენტს. ეს არის დამახინჯებული ციფრები. მე თავად შევხვდი რეგიონებში უამრავ მოქალაქეს და დავინახე, რომ დაუსაქმებელთა დაოდენობა გაცილებით მეტია. საკაშვილმა თვითონ აღიარა, რომ თბილისში დაუსაქმებელთა რაოდენობა 30 პროცენტზე მეტია. ეს ციფრი რეალურად უფრო დი-


ირაკლი ალასანია

დია, განსაკუთრებით რეგიონებში, — განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ დასაქმებულთა 2?3-ს თვითდასაქმებულები შეადგენენ.

როგორც ალასანია აცხადებს, უნდა შეიქმნას დაუსაქმებელთა ცენტრი, სადაც ყველა დარეგისტრირდება და გაირკვევა, რა პროფესიის ადამიანები არიან დაუსაქმებელნი და რა პროფესიებს სჭირდებათ ხელშეწყობა.

ალასანიას თქმით, „თავისუფალი დემოკრატებისათვის" პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარება. ასევე, საშუალო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფონდი.

— მოსახლეობის 80% მეტი არის დღეს დაუსაქმებელი, რადგან სახელმწიფო არ ეხმარება, რომ საკუთარი მიწა დაამუშაოს და საკუთარი შრომით ირჩინოს თავი. მეორე პრიორიტეტი არის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, ამ სფეროს განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებს დისკუსიაში ვიწვევ, — აღნიშნა ალასანიამ და დასძინა: „ნაციონალურმა მოძრაობამ„ სამი რამით დამახსოვრა თავი მოსახლებას: უმუშევრობა, სიღატაკე და სიძვირე. ამის დაძლევა ჩვენ შეგვიძლია.

მედიანიუსი

## სომხები საქართველოს გამოცდილებას ეცნობიან

გუშინ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესტუმრნენ. ანტიკორუფციული რეფორმის ხარვეზების აღმოფხვრისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის ექსპერტი ტ. ნაზარიანი და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენელი მ. ნოვანიანი საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს დავით საყვარელიძეს შეხვდნენ.

დავით საყვარელიძე სომეხ სტუმრებს საქართველოს ხელისუფლების ანტიკორუფციული პოლტიკის შესახებ ესაუბრა და იმ კონკრეტული ნაბიჯების შესახებ მოუთხრო, რომლებმაც, საყვარელიძის თქმით, განაპირობა საქართველოს წარმატება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველო გლობალური კორუფციის ბარომეტრის„ კვლევის მიხედვით კორუფციასთან მებრძოლ 1 ქვეყნად დასახელდა, მაგრამ კიდევ უფრო ვამაყობთ იმით, რომ ამავე კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 77% ეფექტურად თვლის მთავრობის ბრძოლას კორუფციასთან, 97% კი აცხადებს, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე არასოდეს მიუცია ქრთამი, კორუფციასთან ბრძოლის მთავარი შედეგი სწორედ მოქალაქეთა ასეთი განწყობაა, — აღნიშნა შეხვედრაზე მთავარი პროკურორის მოადგილემ.

იუსტიციის სამინისტროდან სომეხი სტუმრები რუსთავის იუსტიციის სახლში გაემგზავრნენ და ადგილზე გაეცნენ მომსახურების სფეროში გატარებული რეფორმების შედეგებს.

სომხური დელეგაციის ვიზიტის მიზანი საქართველოს გამოცდილების გაზიარება და ქართული რეფორმების შესწავლაა, რის შემდეგაც ექსპერტები სომხეთში გასატარებელი რეფორმების შესახებ კონკრეტულ რეკომენდაციებს მოამზადებენ.

მედიანიუსი

## ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაზე იმსჯელებენ

აშშ-ს საელჩოს ორგანიზებით, თბილისში, ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების თემებზე, კონფერენცია ჩატარდება.

როგორც „პრაიმ-ნიუსს" აშშ-ს საელჩოდან აცნობეს, ხვალ, სასტუმრო „ბეტსის"-ში დაგეგმილ ორ დღიან კონფერენციას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი და საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტმენტის დირექტორი ნიკოლოზ რთველიაშვილი გახსნიან.

კონფერენციის ორგანიზატორია, აშშ-ს მთავრობის ბირთვული კონტრაბანდის საფრთხის შესახებ საზოგადოების ინფორმირების საინიციატივო პროგრამა. ლკონფერენციის ძირითადი თემაა საქართველოს მიერ იმ მიღწევების განხილვა, რომელსაც ითვალისწინებს „საქართველოსა და აშშ დელეგაციებს შორის ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბროძოლისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაუმჯობესების შესახებ გაფორმებული ერთობლივი დოკუმენტი" და მისი დანართი.

კონფერენცია აგრეთვე მიზნად ისახავს აშშ-სა და სხვა საერთაშორისო დახმარების კოორდინირებასა და რამდენიმე პრიორიტეტული პროექტის დასაფინანსებლად საჭირო დამატებითი სახსრების მოძიებას. გასულ წელს ამავე საკითხებზე ჩატარებული კონფერენციის ფარგლებში აშშ-ის, შვედეთის და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა საქართველოს აღუთქვეს დახმარება ხუთი ახალი პროექტის განხორციელებაში. პროექტები დაეხმარება საქართველოს ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზების შევსებაში.

პრაიმ-ნიუსი

## მთავრობამ პენსიონერები უნდა დააზღვიოს

ქრისტიან-დემოკრატები ყველა ასაკობრივი პენსიონერის სახელმწიფო დაზღვევით უზრუნველყოფას კიდევ ერთხელ მოითხოვენ.


გიორგი ახვლედიანი
მაგდა ანიკაშვილი

როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, მაგდა ანიკაშვილმა, თელავში, პენსიონერებთან შეხვედრაზე განაცხადა, მინიმალური პენსიის 100 ლარამდე გაზრდის და ქდმ-ს ინიციატივის შედეგად დედაქალაქსა და რეგიონებში პენსიის გათანაბრების მიუხედავად, ყველაზე დაუცველები ქვეყანაში კვლავ პენსიონერები რჩებიან.

— დღეს არსებული სახელმწიფო პროგრამები ძალზე არაეფექტურად მუშაობენ და ჩვენ უკვე დიდი ხანია ვითხოვთ ამ პროგრამების გაუქმების შედეგად გამოთავისუფლებული თანხებით მთავრობამ ყველა პენსიონერი დააზღვიოს. საუბარია ბიუჯეტით გათვალისწინებული 184 მილიონი ლარიდან 640 ათასი პენსიონერის სადაზღვევო პოლისით უზრუნველყოფაზე. ეს უნდა იყოს უმწეოთა სადაზღვევო პაკეტის იდენტური პოლისი, ოღონდ ერთი განსხვავებით-დასაზღვევი კონტიგენტის გათვალისწინებით, აუცილებელია გაიზარდოს მედიკამენტების კომპონენტი, რისი განხორციელება არსებული ბიუჯეტითაც თავისუფლად შესაძლებელია, — განაცხადა ანიკაშვილმა.

გიორგი ახვლედიანის თქმით, ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატები პარლამენტის პირველივე სესიაზე დასვამენ ამ საკითხს.

— ქვეყანაში, სადაც საარსებო მინიმუმი 150 ლარზე მეტია, ასლარიანი პენსიით ვერ მოხერხდება ბევრი პენსიონერის ფიზიკურად გადარჩენა. ამიტომ აუცილებელია ხელისუფლებამ გაითვალისწინოს ჩვენი მოთხოვნა და იმ პროგრამების ნაცვლად, რომელთა შესახებაც ადამიანებმა ხშირად არაფერი იციან, დააზღვიონ ყველა ასაკობრივი პენსიონერი. ეს იქნება დაახლოებით იგივე დანახარჯებზე გათვლილი, მაგრამ გაცილებით ეფექტური პროექტი, — განაცხადა ახვლედიანმა.

პენსიონერებთან შეხვედრის შემდეგ, ქრისტიან-დემოკრატების ლიდერები თელავის რაიონის სოფელ ართანის მოსახლეობასაც შეხვდნენ. მათ ართანელებს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნიკოლოზ ლაშხი წარუდგინეს და 2 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში მხარდაჭერა სთხოვეს.

ინტერპრესნიუსი

## სანკტ-პეტერბურგში საქართველოს მოქალაქეს გაასამართლებენ

სანკტ-პეტერბურგში სასამართლოს წინაშე საქართველოს მოქალაქე 27 წლის რამინ ალიევი წარდგება. მას ბრალად ხულიგნობა, მკვლელობა, ადამიანის გატაცება და სხვა დანაშაულები ედება.

„როსბალტის" ცნობით, სამართალდამცავებმა დაასრულეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, საქართველოს მოქალაქის, 27 წლის რამინ ალიევის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელობა, ქურდობა, ადამიანის გატაცება, ხულიგნობა, მკვლელობა და სხვა დანაშაულები ედება.

გამოძიების ინფორმაციით, ალიევმა დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად, 2007 წლის 19 და 30 აგვისტოს ვიბორგსკის და კალინინსკის ტერიტორიაზე „მერსედესის" ტიპის ავტომობილი გაიტაცა.

დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებმა 2008 წლის ნოემბრიდან 2009 წლის მაისის თვემდე სამი მკვლელობა, შვიდი ხულიგნობა, სამი ქურდობა, ადამიანის გატაცება და სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს.

მედიანიუსი

## სამ ავტორიზებულ აფთიაქს ლიცენზია შეუჩერდა

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სამსახურის შემოწმების საფუძველზე, თბილისში მდებარე სამ ავტორიზებულ აფთიაქს ლიცენზია შეუჩერდა.

როგორც „მედიანიუსს" ფარმაცევტული საქმიანობის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროსმა დავით მაჭარაშვილმა განუცხადა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, აფთიაქების შემოწმების დროს, შპს „ვიქტორია 07"-ის კუთვნილ ორ და შპს „აიბოლიტის" კუთვნილ ერთ აფთიაქში, სამართალდარღვევის ფაქტი სამჯერ დაფიქსირდა.

— აღნიშნულ სამ აფთიაქში ადგილი ჰქონდა ფსიქოტროპული ნივთიერებების, სპეციალური კონტროლ დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების, ურეცეპტოდ გაცემის ფაქტს. სპეციალური კონტროლ დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გაცემის საფუძველი სპეციალური რეცეპტის ფორმა №2-ია, რის გარეშეც ხდებოდა წამლების გაცემა. ასევე ადგილი ჰქონდა აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევას. შპს „ვიქტორია 07"-ში დაფიქსირდა არარეგისტრირებული, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არ მქონე ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის ფაქტი, — აღნიშნა დავით მაჭარაშვილმა და დასძინა, რომ სწორედ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნებართვა გაუუქმდა ამ სამ აფთიაქს.

მისი თქმით, საუბარია შპს „ვიქტორია 07"-ის კუთვნილ ორ აფთიაქზე, რომლებიც ფალიაშვილის № 27 და საბურთალოს №53 მდებარეობს და შპს „აიბოლიტის "კუთვნილ ერთ აფთიაქზე, რომელიც ხიზანიშვილის №37 მდებარეობს.

**მედიანიუსი**

## ჩხოროწყუში პრობაციონერი დასაქმდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით, სოციალურად დაუცველი პირობით მსჯავრდებული ენერგეტიკის სექტორში დასაქმდა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ჩხოროწყუს რაიონის მუნიციპალიტეტის დახმარებით როსტომ კ. მშობლიურ დაბაში გარეგანათების ბოძების სამონტაჟო სამუშაოებზე იმუშავებს და ყოველთვიურად 450 ლარს გამოიმუშავებს.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაცია წარმოადგენს. პრობაციის ბიუროები მათ კონტროლს დაქვემდებარებული პირების დასაქმებისა და რესოციალიზაციის მიზნით მუდმივად აწარმოებენ მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

**ინტერპრესნიუსი**

## მცხეთაში დასუფთავების აქცია გაიმართება



ევროპის სახლის ინიციატივით, 10 სექტემბერს მცხეთაში დასუფთავების აქცია გაიმართება. მონაწილეები შიო-მღვიმის მონასტრისკენ მიმავალ გზაზე კაკლოვანის მიდამოებს დაასუფთავებენ, ასევე, ჩაერთვებიან არქეოლოგიური სამუშაოების პროცესში არმაზციხის (ბაგინეთი) ტერიტორიაზე და დაასუფთავებენ მიმდებარე ტერიტორიას.

ღონისძიება ევროპის სახლის პროექტის „მოხალისეობის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში ხორციელდება. „მოხალისეობის ხელშეწყობა საქართველოში" ევროპის სახლის პროექტია, რომელიც ხორციელდება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით .

პროექტის კოორდინატორთა განცხადებით, პროექტის ძირითადი მიზანია, მოხალისეობასა და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. პროექტის ამოცანას შეადგენს აგრეთვე ურთიერთდახმარების, ნებაყოფლობითი მუშაობის ძველი ქართული ტრადიციის — ნადის გაგრძელება და დღევანდელი ყოფისათვის მისი მიზანშეწონილობისა და ღირებულების წარმოჩენა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დასუფთავების აქციების სერია ისტორიული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე (ხევში, ქართლსა და კახეთში) და პოლიეთილენის პარკების მოხმარების საწინააღმდეგო კამპანია თბილისში. პარალელურად გათვალისწინებულია გარემოს დაცვის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება სკოლის მოსწავლეებისათვის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით.

დასუფთავების პირველი ღონისძიება გაიმართა 30 ივლისს, სოფელ გერგეტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

**ინტერპრესნიუსი**

# დემოკრატია ღარიბების იდეოლოგიაა, ანუ რატომ ვერ გახდება საქართველო სინგაპური

გიორგი უ ილაური

**„საქართველოს განვითარების დაახლოებითი მოდელი არის სინგაპური. ჩვენ გვჭირდება მუდმივი წინსვლა სინგაპურის მაგალითზე" — ეს სიტყვები სააკაშვილმა 2919 წლის ივნისში თქვა. ზოგმა ჩათვალა, რომ ეს პრეზიდენტის მორიგი იმპულსური აფეთქება იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სააკაშვილი სერიოზულად საუბრობდა.**

2011 წლის თებერვალში პრეზიდენტმა კვლავ ისაუბრა სინგაპურის მაგალითზე და თან დაამატა — „ხშირად ევროპელებიც გვეუბნებიან, რა სინგაპური აგიტყდათ, იქ სულ სხვა სიტუაციაა, სულ სხვა რეჟიმი იყო, თქვენი ქვეყანა მიდის ევროპული დემოკრატიის გზით და ეს მართლაც ასეა, მაგრამ დემოკრატია არ ნიშნავს არასტაბილურობას". ანუ, ევროპულ დემოკრატიას სააკაშვილი აღიარებს, თუმცა მას სინგაპურის თვალით უყურებს.



სინგაპური

პრეზიდენტს გამორჩა, აეხსნა მოსახლეობისთვის, თუ რას ნიშნავს სინგაპურის მოდელი, გარდა იმისა, რომ სინგაპური მდიდარი სახელმწიფოა. ეს დეტალები ბევრად უკეთ ახსნა სააკაშვილის და მისი გუნდის ფავორიტმა რუსმა ჟურნალისტმა იულია ლატინინამ ვრცელ სტატიაში, რომელიც სინგაპურს მიუძღვნა.

სინგაპური თბილისზე ორჯერ დიდ ფართობზე გაშენებული ქალაქი-სახელმწიფოა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მან 1965 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სინგაპურს სათავეში ჩაუდგა სინგაპურის პრემიერ-მინისტრი 1959 წლიდან, კემბრიჯში ნასწავლი ლი კუან იუ. საქართველოს პრეზიდენტის ეს კერპი 31 წელი ოფიციალურად მართავდა სინგაპურს, დღეს კი არაოფიციალურად მართავს, დღევანდელი პრემიერი მისი შვილი ლი სიან ლუნია.

ლატინინას წერილი ოფიციალურად სინგაპურზეა, არაოფიციალურად კი ეხება და ტრიალებს სწორედ ლი კუან იუს ფენომენის, მის მიერ შექმნილ „ეკონომიკური სასწაულის" გარშემო. კურიოზულია ამ ვითომ პროგრესული ჟურნალისტის ალალი აღფრთოვანება ლი კუან იუს და მისი მმართველობის მეთოდების მიმართ, რადგან ეს სინგაპურელი მოღვაწე, რბილად რომ ვთქვათ, არადემოკრატია.

მაგალითად, ლი კუან იუ ძალადობის დიდი მოტრფიალეა. მემუარებში კუან იუ იხსენებს, რომ იაპონიის ოკუპაციის პერიოდში სინგაპურში სიღატაკე სუფევდა, მაგრამ დანაშაული ნულზე იყო, რადგან იაპონელები ნებისმიერი მიზეზის გამო ადგილზე ხვრეტდნენ ხალხს. ამ მაგალითით სინგაპურის შემქმნელი დარწმუნდა ძალადობის ეფექტიანობაში. ამავე მიზეზით, სინგაპურში კვლავ მოქმედებს სიკვდილით დასჯა. საქართველოსთვის სამაგალითო სახელმწიფოს არქიტექტორი ზიზღით უყურებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს, რადგან მათ არაეფექტიანად მიიჩნევს. ერთხელ, ადვოკატობისას, ლი კუან იუმ თავად მოახერხა 4 მკვლელის გამართლება და თავისივე ნამოქმედარზე დაასკვნა, რომ ნაფიცი მსაჯულების სასამართლო არ ვარგა.

ლი კუან იუ სკეპტიკურად უყურებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მას საუკეთესო მმართველობად მიაჩნია მერიტოკრატია, სადაც „პასუხისმგებლობიან" ადამიანებს — ოჯახის უფროსებს — უფრო მეტი ხმა ექნებათ, ვიდრე სხვებს.

სააკაშვილის სინგაპურელი კერპი სასტიკად უსწორდებოდა ოპოზიციას და თითს არ აკარებდა უცხოელ ინვესტორებს. მან დახურა ან დაიქვემდებარა ის მედია-საშუალებები, რომლებიც, მისი აზრით, არასწორად აშუქებდნენ ვითარებას სინგაპურში, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ციხეში გაუშვა ერთ-ერთი გაზეთის 4 ხელმძღვანელი. საერთოდ, ლი კუან იუ თავს არ იზღუდავდა სასამართლოებით. კორუფციასთან ბრძოლა მან სასამართლოების და მსგავსი ფორმალობების გარეშე დაიწყო, კორუფციაში ეჭვმიტანილს ციხემდე აშორებდა სამი მოწმის არსებობა. ამ სამი მოწმის პოვნა ხელისუფალისთვის რთული არ იყო და ჩინოსნები მიდიოდნენ ციხეში, რამდენიმე მინისტრმა თავიც მოიკლა. ბევრი ოპოზიციონერი ციხეში მოხვდა „ცილისწამებისთვის".

მოკლედ, სინგაპურში არ არსებობს სიტყვის თავისუფლება, არ არის თავისუფალი მედია, არ არის რეალური ოპოზიცია, არ არის დამოუკიდებელი სასამართლო, და ზოგადად არ არსებობს დემოკრატია. მსგავსების შემჩნევა საქართველოსთან რთული არაა. სწორედ ამიტომ არ მოსწონს ევროპას სააკაშვილის სურვილი — გაასინგაპუროს საქართველო. თუმცა, მედალს ხომ ორი მხარე აქვს? შესაძლოა, არ გქონდეს დემოკრატია, ხმის ამოღების გეშინოდეს, მაგრამ მაძღარი იყო. სინგაპური ზუსტად ასეთი ქვეყანაა.

ლი კუან იუმ მშიერი და მტრებით გარშემორტყმული სინგაპური 1990 წლისთვის აქცია სიდიდით მესამე ნავთობგადამამუშავებელ სახელმწიფოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმსხვილეს ფინანსურ ცენტრად, მშპ კი 40-ჯერ გაიზარდა. ამგვარი შედეგები მიღწეულ იქნა მკაცრი ადმინისტრირებით, დემოკრატიის უგულვებელყოფით, მედიაზე კონტროლის დაწესებით, საგარეო ვითარებით, სინგაპურის, როგორც საპორტო ქალაქის, სტრატეგიული განლაგებით და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობით. ეკონომიკის ზრდა განაპირობა იმ პერიოდის (60-70იანები) ეკონომიკურმა აქტიურობამ მსოფლიოში და ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის გაწეულმა დიდმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა შეღავათებმა. ამის შემდეგ მან ყურადღება გადაიტანა განათლებაზე, აგზავნიდა სტუდენტებს უცხოეთში იმ პირობით, რომ ისინი უკან დაბრუნდებოდნენ ჩინოსნებად. სინგაპურში ყველასთვის სავალდებულოა ინგლისურის სწავლა, უმაღლესი განათლება კი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა.

სინგაპურში არ არსებობს უმუშევრობა. დასაქმებულები საკუთარი ხელფასის 20%-ს რიცხავენ კერძო საპენსიო ანგარიშზე, რომლიდანაც შეუძლია კრედიტით შეიძინოს ბინა, იმკურნალოს ან იყიდოს აქციები. ბინათმშენებლობა სახელმწიფოს ხელშია და მოსახლეობის 80% ასეთ, კრედიტით აღებულ, სახლებში ცხოვრობს.

❍ ❍ ❍

საქართველო მიდის სინგაპურის გზაზე და ამ გზის ნახევარი განვლილია. უფრო მეტიც, სააკაშვილის მმართველობა სინგაპურულს ჰგავდა ჯერ კიდევ სინგაპურიზაციის გამოცხადებამდე 6 წლით ადრე, ანუ სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე. კერძოდ: შეიზღუდა მედიის თავისუფლება, დაიხურა გადაცემები, გაზეთები, ტელევიზიები. სასურველი ადამიანების დასაჭერად ხელისუფლებამ გაიმარტივა ფორმალობები და ხშირად მათ გარეშეც მოახდინა ადამიანების დარეკეტება, დაპატიმრება ან ლიკვიდაცია. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომავალი არ აქვს, სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარებაშია. მოკლედ, მართვის სინგაპურული სტილი საქართველოში წარმატებით ფუნქციონირებს.

საქართველოს მმართველი გუნდის იდეოლოგია ზუსტად თავსებადია სინგაპურულთან. იდეოლოგიას განსაზღვრავს არა საზოგადოება, არამედ მმართველი გუნდი. საქართველოს მმართველი გუნდის იდეოლოგია აღიარებს სახელმწიფოს გათავისუფლებას პასუხისმგებლობებისგან და ხალხის დატვირთვას ვალდებულებებით. სახელმწიფო ინარჩუნებს მხოლოდ მოძალადის ფუნქციას. ისევე, როგორც სინგაპუში, საქართველოშიც მოქმედებს ეკონომიკური იდეოლოგია, რომელიც ერთდროულად ითავსებს ნეოლიბერალიზმის ელემენტებს და ავტორიტარული ტიპის ბიუროკრატიულ აპარატს. ერთი შეხედვით ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი მიდგომა იდეალურად არის მორგებული მმართველ ჯგუფებზე როგორც სინგაპურში, ასევე საქართველოში.

არც სინგაპურში და არც საქართველოში ბიზნესი არ არის თავისუფალი. ეს თავისუფლება მთავრდება, იქ სადაც იწყება მმართველი გუნდის სიმყარის საფრთხე. იქაც და აქაც მმართველი ჯგუფი გახსნილია უცხოური ბიზნესისთვის და დახურულია ადგილობრივისთვის. ორივე რეჟიმი განსხვავებული პრინციპით იყენებს კანონს უცხოელების და ადგილობრივების მიმართ, ორივე მათგანი ეკონომიკურ პოლიტიკას იყენებს საკუთარი მმართველობის გასამყარებლად.

მიუხედავად ყველაფრისა, სააკაშვილი ვერ მოახერხებს საქართველოს სინგაპურად გადაქცევას. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

საქართველო, სინგაპურისგან განსხვავებით, ნაკლებად მიმზიდველია დიდი კორპორაციებისთვის მისი არასტაბილურ რეგიონში განლაგების, არასტაბილური ეკონომიკის და პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემებს გამო. სინგაპურის წარმატებას ხელი შეუწყო მაშინდელმა პოლიტიკურმა ინტერესებმა, ეკონომიკური გიგანტების ინტერესებმა, მნიშვნელოვანმა სავაჭრო და საზღვაო ფუნქციამ. საქართველოს არ გააჩნია საკმარისი კომპონენტები იმ ინვესტიციებისთვის, რომლებიც მას მაძლარ და მდიდარ ქვეყანად აქცევს.

საქართველოს სინგაპურიზაცია ნიშნავს საქართველოს მხრიდან უარის თქმას ევროპულ ღირებულებებზე, ანუ ევროპულ ორიენტაციაზე, რაც საქართველოს აქცევს ჩვეულებრივ მარგინალ სახელმწიფოდ, ეს კი ხელს შეუშლის საქართველოში დასავლური ინვესტიციების შემოსვლას.

სააკაშვილის 7 წლიანი მმართველობის პერიოდში სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იგრძნო მხოლოდ მმართველმა გუნდმა და მისი ნასუფრალით მკვებავმა ჯგუფებმა, მოსახლეობის 90%-ის მდგომარეობა კი უარესდება. ასეთი უთანაბრობა გამოიწვევს ან მოსახლეობის იძულებით გადინებას ქვეყნიდან, ან სახელმწიფო ხარჯების ზრდას ძალადობის აპარატზე, რაც შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას.

საბოლოოდ კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სინგაპურიზაცია არის სააკაშვილის ავტორიტარიზმის მაძღარი ცხოვრებით კომპენსირების მცდელობა, უფრო სწორად, მორიგი დაპირება. ასევე აშკარაა, რომ საქართველოს მმართველი რეჟიმის მიზანი არ არის ევროპა, რადგან ევროპული პრინციპები ძირეულად ეწინააღმდეგება სააკაშვილის მმართველობას. ასევე ფაქტია, რომ დემოკრატია არ არის არსებული ხელისუფლების მიზანი. დემოკრატია ღარიბების იდეოლოგიაა, ფუნდამენტალისტური ნეოლიბერალიზმი კი — მდიდრების. არაფერი უცნაური არ არის იმაში, რომ საქართველოს 4 მილიონიან საზოგადოებას ცხვრის ფარასავით ეპყრობა 100 კაციანი მმართველი მდიდრების ბანდა. მთელს მსოფლიოში არიან ასეთი ბანდები და ისინი იბრძვიან დემოკრატიის წინააღმდეგ. მათი მთავარი მიზანი ევროკავშირის — როგორც დემოკრატიის ყველაზე წარმატებული პროექტის — კრახია. ევროპის დაცემის შემდეგ კი მდიდრები მარტივად შექმნიან „მომავლის სახელმწიფოს" — დიდ ცხოველთა ფერმას, რომელშიც „სხვებზე მეტად თანაბარნი" იფიქრებენ და იმოქმედებენ უბრალო ადამიანების ნაცვლად.

ქართული დემოკრატიის სადარაჯოზე მდგომ სალონურ დემოკრატებს სძინავთ, ასე რომ, არჩევანი ჩვენზე, ხალხზეა — დავნებდეთ მმართველებს თუ არა.

# „შინმა“ ზუგდიდში დაუკრა

ეკა ირემაშვილი



ჯგუფი „შინ“

ჯგუფმა „შინ“ პირველად კონცერტი ზუგდიდში ჩაატარა, რომელიც ქალაქის ცენტრში ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და „ექსპრესსერვისის“ ორგანიზებით მოეწყო.

გრანდიოზულ კონცერტზე შესრულდა როგორც ძველი კომპოზიციები, ასევე ახალი სიმღერები. ჯგუფის წევრები საათნახევრის განმავლობაში უკრავდნენ და მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მაყურებელი ამ ხნის განმავლობაში არ დაშლილა.

ჯგუფი „შინ“ 1998 წელს გერმანიაში დაარსდა. ჯგუფმა წლების განმავლობაში შემადგენლობის თვალსაზრისით არაერთი ცვლილება განიცადა. ამჟამად „შინის“ წევრები არიან ზაზა მიმინოშვილი (გიტარა, ფანდური), ზურაბ გაგნიძე (ბასგიტარა, ვოკალი) და მამუკა ღაღანიძე (დასარტყამი ინსტრუმენტები, ვოკალი). ჯგკფის მთავარი მიმართულება „იბეროკავკასიური“ სტილი, ეთნო-ჯაზი, ქართული და მსოფლიო ფოლკლორული მელოდიებისა და სიმღერების ჯაზის სტილში გადაწყვეტაა. „შინ“ ძირითადად გერმანიაში მოღვაწეობს. პირველი ალბომი „ადიო“ 1995 წელს გამოვიდა. ამის შემდეგ ჯგუფმა კიდევ 3 ალბომი გამოუშვა, რის შემდეგაც იყო საქართველოში ყველაზე წარმატებული პროექტი „ეგარი“. ამ ალბომზე „შინთან“ ერთად სხვა ქართველი მუსიკოსებიც მუშაობდნენ — ალეკო ხიზანიშვილი, ხვიჩა ღვთისიაშვილი, დათუნიკა სხირტლაძე. ისინი ერთობლივად ატარებდნენ კონცერტებსაც. „ეგარის“ პრეზენტაციები გაიმართა არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც.

ჯგუფმა „შინ“ თავისი კონცერტებით თითქმის მთელი საქართველო მოიარა. ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში მათ ჩამოიტანეს ახალი მუსიკალური პროექტი და ალბომი „შავი ზღვის ცეცხლი“. ახალ პროექტში „შინი“ მსოფლიო მუსიკის ახალ თაობას — მრავალი კულტურის სინთეზს ქმნის. პროექტის კონცეფცია, კომპოზიცია და არანჟირება „შინის“ სოლისტებს - ზაზა მიმინოშვილსა და ზურაბ გაგნიძეს ეკუთვნით. კონცეფციის მიხედვით, ანტიკურ ღმერთებს არ სურდათ მოკვდავებისთვის ცეცხლის მიცემა, რადგან ეშინოდათ, რომ ადამიანები მის ჭეშმარიტ დანიშნულებას ვერ ჩაწვდებოდნენ. ამირანმა მოიპარა ცეცხლი და კაცობრიობას გადასცა. როდესაც კავკასიონზე მიიყვანეს, რათა ზევსისგან სასჯელი მიეღო, იმ ცეცხლის ნაპერწკალი შავ ზღვაში ჩავარდა და დაანთო „შავი ზღვის ცეცხლი“. საუკუნეთა განმავლობაში შავი ზღვის გარშემო მრავალი ერი ალმოცენდა, განხვავებული კულტურა განვითარდა და თბილი ცეცხლი, თანდათანობით ომისა და ნგრევის ცეცხლად გადაიქცა.

„შინის“ რეპერტუარში შემავალი ძირითადი მუსიკალური კომპოზიციები შავი ზღვის სხვადასახვა ქვეყნიდან მომდინარეობს. თითოეული კომპოზიცია აჩვენებს, რომ იმ ქვეყნის კულტურა, რომელიც თავისთავად გამორჩეულია, ბევრად უფრო დიდის, შავი ზღვის კულტურის ნაწილს წარმოადგენს.

— ეს მუსიკა გვაბრუნებს სახლში, საქართველოში, საკუთარ ფესვებთან, მაგრამ სახლი მხოლოდ საცხოვრებელ ადგილს და ოჯახს არ ნიშნავს, არამედ ჩვენს მეზობლებს და მეგობრებსაც, — აცხადებს ზაზა მიმინოშვილი.

ზუგდიდში ღია ცის ქვეშ გამართულ ჯგუფ „შინის“ კონცერტს არა მარტო ადგილობრივი მსმენელი, არამედ ტურისტებიც მრავლად დაესწრნენ. ბოლო პერიოდში ზუგდიდში კულტურული აქტიურობის მხრივ დიდი მოძრაობა და გამოცოცხლება შეიმჩნევა. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წლევანდელი თეატრალური სეზონი პრემიერით დახურა. დასმა მაყურებელს იაპონელი მწერლის რიუნოსტე აკუტაკავას ნაწარმოებების „დიალოგი წყვდიადში“ და „მაგიის საოცრებანი“ თეატრალური ვარიაცია წარუდგინა. სპექტაკლი სპეციალურად მოწვეულმა რეჟისორმა გიორგი თავაძემ დადგა. რეჟისორმა სპექტაკლში იაპონური კულტურისთვის დამახასიათებელი მისტიკა და მაგია წარმოადგინა.

ზუგდიდში სპეციალურად კონცერტის ჩასატარებლად ჩავიდა უკრაინული ჯგუფი „ჯაზ იქს ბენდი“, რომელმაც კონცერტი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გამართა. ჯგუფმა მაყურებელს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხების მუსიკის საკუთარი ინტერპრეტაცია შესთავაზა. მათ ზუგდიდში კონცერტზე ქართული სიმღერები შეასრულეს. კონცერტი სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა. საღამოს რამდენიმე ათასი ადამიანი დაესწრო. უკრაინული ჯგუფი ბათუმის შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალშიც მონაწილეობდა.

ზუგდიდში დადიანების სასახლეში ამერიკული ბენდის „ეით თუ დი ბარ“ კონცერტი გაიმართა. მუსიკოსები მსმენელის წინაშე ამერიკის საელჩოს ინიციატივით წარდგნენ. ბენდი ზუგდიდში ქუთაისიდან ჩავიდა, სადაც მუსიკალური ფესტივალი „ზაფხულის ცხელი დღეები“ გახსნა. ამერიკული ბენდის მუსიკალური რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანია. ხელოვანები მუსიკის მოყვარულებს სთავაზობენ განსხვავებულ ამერიკულ მიმართულებებს. ამერიკულმა ბლუზ ბენდმა საუკეთესო მუსიკალური კომპოზიციები შეასრულა. ბენდის მუსიკალური გემოვნება ეფუძნება ამერიკულ ტრადიციულ ჟანრებს, როგორებიცაა სვინგ, ბუგი-ვუგი, რითმ ენდ ბლუზი და სოული. როგორც აშშ-ს საელჩო საქართველოში განმარტავს, ბენდი გამორჩეულია დახვეწილი ინსტრუმენტული და ვოკალური არანჟირებით. ამერიკელი დიპლომატების განცხადებით, მნიშვნელოვანია ამერიკული კულტურისა და მუსიკის გაცნობა ქართველებისთვის, მსგავსი კონცერტები კი ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

# ამერიკული კლასიკური მუსიკის ფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მთელ საქართველოში ამერიკული კლასიკური მუსიკის ფესტივალს გამართავს. ფესტივალი 11 სექტემბრის ტერაქტის 10 წლისთავისადმია მიძღვნილი და იგი სიმბოლურად 11 სექტემბერს რუსთაველის თეატრში გაიხსნება.

ამერიკული კლასიკური მუსიკის ფესტივალი თბილისში, თელავსა და ქუთაისში გაიმართება და მასში მონაწილეობას ამერიკელი პიანისტი სტივენ ბიუსი მიიღებს. პიანისტთან ერთად ფესტივალში ჩართულები არიან თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი — დავით მუქერია. საკონცერტო პროგრამაშია აარონ კოპლენდის სიუიტა ბალეტიდან „აპალაჩური გაზაფხული“, სამუელ ბარბერის ადაჟიო სიმებიანი ორკესტრისთვის და სამუელ ბარბერის კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის.

12 სექტემბერს ფესტივალი უკვე თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გადაინაცვლებს. 14 სექტემბერს კი ამერიკული კლასიკური მუსიკის ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი და მუსიკალური დარბაზი უმასპინძლებს.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი კულტურულ ღონისძიებებს 22 სექტემბერს უკვე ბათუმში განაგრძობს. სიმფონიური მუსიკის კონცერტზე ბათუმის ხელოვნების ცენტრში ალექსი მაჭავარიანისა და ყარა ყარაევის მუსიკა აჟღერდება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი — ვახტანგ მაჭავარიანი. საკონცერტო პროგრამაში შეტანილია ალექსი მაჭავარიანის „ქართული საზეიმო უვერტიურა“ და ბალეტი „ოტელო“, მეორე მოქმედება და ყარა ყარაევის სუიტა ბალეტიდან „ქუხილის ბილიკებზე“.

ზაქარია ფალიაშვილის თეატრი საბალეტო სეზონს 22 სექტემბერს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გახსნის. 25 სექტემბერს კი უკვე თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში ჩაერთვება. ქართული საბალეტო დასი ფესტივალის სტუმრებს ირჟი კილიანის ბალეტებს წარუდგენს.

საოპერო დასი კი 160-ე საიუბილეო სეზონს 27 სექტემბერს ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერით „აბესალომ და ეთერი“ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გახსნის. ოპერა ოთხმოქმედებიანია და მისი ლიბრეტოს ავტორი პეტრე მირიანაშვილია. ოპერის პრემიერა თბილისში შედგა. წლების შემდეგ განახლებული სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი ჯანსუღ კახიძეა, დირიჟორი — დავით მუქერია, რეჟისორი — მიხეილ თუმანიშვილი, მხატვარი — გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ქორეოგრაფი — თენგიზ სუხიშვილი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 28 სექტემბერს ვოკალური მუსიკის კონცერტს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩაატარებს. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს რევაზ ტაკიძე უდირიჟორებს.

მსოფლიოში ცნობილი პიანისტი ელისო ბოლქვაძე საქართველოს 15 ოქტომბერს ეწვევა და სიმფონიური მუსიკის კონცერტს რუსთაველის თეატრში ჩაატარებს. მასთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი. საკონცერტო პროგრამაშია სუიტა ოპერიდან „კარმენი“, ლეონარდ ბერნსტაინის სიმფონიური ცეკვები მიუზიკლიდან „ვესტ საიდის ისტორია“ და კამილ სენ-სანსის საფორტეპიანო კონცერტი №2.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ სექტემბერია, უკვე გაწერილია ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელი წლის პროგრამა. 2 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი გალა-კონცერტს გამართავს, ხოლო 27 ნოემბერს სიმფონიური მუსიკის კონცერტი ჩატარდება, რომელზეც აჟღერდება ანტონინ დვორჟაკის ნაწარმოებები — კონცერტი ვიოლონჩელისა და სიმფონიური ორკესტრისთვის და სიმფონია №9 „ახალი სამყაროდან“. სოლისტი — ნინა კოტოვა, დირიჟორი — ჯანლუკა მარჩიანო.

2011 წლის მიწურულს — 20 დეკემბერს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი გალა-კონცერტს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოაწყობს. მასში მონაწილეობას მიიღებენ იანო ალიბეგაშვილი, ვიტორიო ვიტელი, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი, სიმფონიური ორკესტრი და მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვებავარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# ესპანეთმა ძალა და საქართველო დაზოგა

**ესპანეთი — საქართველო 2:0**
**1:0, 2:0 კანალესი (17 პენ, 79).**

ესპანეთი: დე ხეა, მალო, ბარტრა, ინიგო, პლანასი, ორიოლი (სერხი რობერტო 86), ანდონეგი, კანალესი, მუნიაინი, ისკო (ხუან კარლოსი 77), როდრიგო (ვასკესი 82).

საქართველო: მაკარიძე, აფაქიძე, კაკუბავა, კვერკველია, იოსელიანი, კვეკვესკირი, თარხნიშვილი, ოქრიაშვილი (ძალამიძე 88), ყაზაიშვილი (ჭანტურია 73), შეყილაძე, მჭედლიძე (ქობალია 84).

სავარაუდოდ, ასეც უნდა მომხდარიყო — 4 დღის წინ ესპანელები მიხვდნენ, რომ ქართველი თანატოლები მათთვის წინააღმდეგობის გამწევები არ იყვნენ და ლუგოში მხიარული ვარჯიში გამართეს. ყველა ფიქრობდა, რომ ქუთაისში 7:2 მოგებული მატჩის შემდეგ პირინეელები საკუთარ ქვეყანაში დაგვბომბავდნენ, მაგრამ ფეხბურთში ასე არ ხდება. ესპანელთა მწვრთნელებმა მეორე მატჩი მხოლოდ იმისთვის გამოიყენეს, თუ როგორ უნდა აკონტროლოს თამაში გუნდმა. არც ანგარიში ასახავს იმას, რომ ჩვენები მეტოქეს ტოლ□სწორად ეთამაშნენ.

გოლები ასე გავიდა: ესპანელთა ლიდერმა სერხიო კანალესმა ჯერ პენალტით გაიტანა, მერე კი შორიდან დაარტყა, ბურთი გზად საბა კვერკველიას შეეხო, სულ ოდნავ იცვალა მიმართულება და მაკარიძის ნახტომი ამაო გამოდგა — 2:0.

ცხადია, ამ მატჩის ტელერეპორტაჟი არ გადაცემულა, მაგრამ მისი ხილვის საშუალება ინტერნეტის საშუალებით შეიძლებოდა. და ვინც ლუგოს სტადიონიდან რეპორტაჟი ნახა, ვფიქრობთ, თამამად იტყვის, ორი ბურთით წაგება შვება იყო. ესპანელები უზარმაზარ უპირატესობას ფლობდნენ და ისე თავისუფლად თამაშობდნენ, თითქოს მარტონი იყვნენ მოედანზე. გიორგი მაკარიძის რამდენიმე „სეივი" რომ არა, ოთარ გაბელიას გუნდი კვლავაც სამარცხვინო ანგარიშით დამარცხდებოდა.

ჩვენებმა ხუთჯერ დაარტყეს კარისკენ და დარყმას იმათაც ვერ ვუწოდებთ — ამას უფრო ბურთის მოშორებას, ან ვითომ მიმართულების მიცემას თუ დავარქმევთ, რადგან საჯარიმოსთან მიახლოებაც კი გვიჭირდა და ეს დარტყმები ძალიან შორეული და ძალიან არაზუსტი იყო.

არადა, შემადგენლობას თუ გადავხედავთ, ცხადია ესპანელთა გვარები უფრო ბევრს ამბობენ, მაგრამ ჩვენც ხომ ამ ახალგაზრდების იმედად ვართ, რომლებიც სხვადასხვა ევროპულ კლუბებში არიან მიმოფანტული და ასეა თუ ისე, რაღაცას აკეთებენ. რატომ ვერ გამოჩნდნენ ისინი სრულყოფილად ესპანელებთან მატჩში? ამ კითხვაზე წესით მწვრთნელებმა უნდა გვიპასუხონ, რომელთაც აკისრიათ კიდეც პასუხისმგებლობა, ეროვნულ ნაკრებს ღირსეული ცვლა მოუმზადონ.

ჯგუფის მეორე მატჩში შვეიცარიამ შინ 4:0 გაანადგურა ხორვატია, რომელსაც ივნისში ქართველებმა სტუმრად 1:0 სძლიეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| 2.შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| 3.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| 4.ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 5.ხორვატია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# ჰოლიფილდი რინგს არ ნებდება, კლიჩკოები უარს ეუბნებიან

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდი მსოფლიოს ჩემპიონის კიდევ ერთი ტიტულის მოპოვებას გეგმავს. 49 წლის მძიმეწონოსანი 17 დეკემბერს ციურიხში მსოფლიო კრივის ასოციაციის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს, რუს ალექსანდრ პოვეტკინს შეხვდება და თუ დაამარცხებს, საჩემპიონო ქამარს შემოირტყამს.

ასაკის მიუხედავად, ჰოლიფილდი კიდევ უფრო შორს იყურება და კლიჩკოებთან ჩხუბზეც კი ფიქრობს.

— 49 წელი საგანგაშო ასაკი სულაც არაა. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ჯერ კიდევ შემიძლია და ამას აუცილებლად დავამტკიცებ. უფრო მეტიც, შეიძლება ამ ქამარზეც არ გავჩერდე და სხვა ვერსიებით ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლო. ძმები კლიჩკოები არც ისეთი ურჩხულები არიან, როგორებადაც მათ ხატავენ, — განაცხადა ჰოლიფილდმა.

საპირისპიროს აცხებენ ძმები კლიჩკოები. უმცროსი ვლადიმერი აცხადებს, რომ არც თავად და არც მისი ძმა, ასევე მსოფლიოს ჩემპიონი ვიტალი, ამერიკელ ევანდერ ჰოლიფილდთან ჩხუბს არ დათანხმდებიან. უმცროსი კლიჩკოს სიტყვებით, ჰოლიფილდი უკვე წარსულია და მასთან დაპირისპირება უსამართლობა იქნება.

— ჰოლიფილდი წლების წინ მართლაც ანგარიშგასაწევი ძალა იყო, მაგრამ ახლა ასაკშია და შესაბამისად, მის ჩრდილთან ბრძოლა ვერანაირ სიამოვნებას ვერ მოგვაყენებს, ხოლო გამარჯვება დიდი ვაჟკაცობა არ იქნება, — აცხადებს უმცროსი კლიჩკო.

# აბიდალს პსჟ კარიერის შემდეგ სამსახურს დაჰპირდა




ესპანური მედიის ცნობით, საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსას" ცენტრალურმა მცველმა ერიკ აბიდალმა „პარი სენ-ჟერმენისგან" საინტერესო წინადადება მიიღო — 3-წლიანი კონტრაქტი და მომატებული ანაზღაურება. მეტიც, რაც ყველაზე მთავარია, ფრანგებმა კარიერის დასრულების შემდეგ ვეტერან პარიზელს ადმინისტრაციაში სამსახური შესთავაზეს.

ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მოლაპარაკებას კატალონიელებიც აწარმოებენ, მაგრამ 31 წლის ფეხბურთელმა ხელშეკრულების 2013 წლამდე გაგრძელებაზე უარი თქვა. ესპანელებმა ფრანგს გასაგებად მიანიშნეს, რომ უკეთესი პირობებით შეთავაზებას არ უნდა ელოდოს, არსებულზე კი პასუხის გასაცემად დრო 31 დეკემბრამდე მისცეს. თუკი იქამდე ერიკი კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, ფეხბურთელთან მოლაპარაკება საბოლოოდ შეწყდება. ამასობაში პარიზელებმა დრო იხელთეს და აბიდალს თავიანთი პირობები წაუყენეს.

პარიზული კლუბის ამბიცია ამით არ კმაყოფილდება და მათ მიზნებში კიდევ ერთი ფეხბურთელის, ბოლო დროს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად მიჩნეული „ნაპოლის" 24 წლის სლოვაკ ლეგიონერის, შემტევ ნახევარმცველის მარეკ ჰამშიკის გადაბირებაც მოუწადინებიათ. ამ თემაზე უკვე აქტიურად საუბრობენ იტალიურ და ფრანგულ მედიაში და მოსალოდნელ ტრანსფერს ლეონარდოს უკავშირებენ, რომელიც ამჟამად პარიზულ კლუბში კი მუშაობს, მაგრამ ჰამიკით ჯერ კიდევ „მილანსა" და „ინტერში" მუშაობისას იყო დაინტერესებული. თავად ფეხბურთელი კი ჟურნალისტების ნაუბარზე გაგიჟებულია და ღიად აცხადებს, რომ მსგავსი რამ უახლოეს მომავალში შეუძლებელია.

— ეს სიგიჟეა. სატრანსფერო ბაზარი რამდენიმე დღეა, რაც დაიხურა, მაგრამ ჟურნალისტები უკვე იმაზე წერენ, თუ რა მოხდება იანვარში. რას ვუპასუხებ ლეონარდოს შემოთავაზებას, თუკი მას მივიღებ? არსად გადასვლას არ ვაპირებ, არც იანვარში, არც მას მერე. „ნაპოლიში" თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. მინდა ტიტულები ამ გუნდთან ერთად მოვიგო, — აცხადებს სლოვაკი ფეხბურთელი.

# საქართველო ევროპის საუკეთესო 12 გუნდშია



მეორე ეტაპს ფაჩულიას გარეშე ვითამაშებთ

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეორე ჯგუფურ რაუნდში გააღწია, ანუ ევროპის თორმეტ საუკეთესო გუნდში მოხვდა. ჩვენი გასაკეთებელი საქმე უკრაინელებმა გააკეთეს.

შეგახსენებთ, რომ იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა საქმე მას შემდეგ გაირთულეს, რაც პირველ ეტაპზე დ ჯგუფის დასკვნით მატჩში ბულგარეთთან შეხვედრა 69:79 დათმეს. აღნიშნულის შემდეგ, ჩვენი გუნდი ბელგიისა და უკრაინის ნაკრებთა მატჩის მოლოდინში გახლდათ, სადაც ხელს ამ უკანასკნელთა ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება გვაძლევდა.

უკრაინელებმა მხოლოდ საწყის წუთებზე გვანერვიულეს, როდესაც მეტოქეს 5:16 ჩამორჩნენ, შემდეგ კი მაიკ ფრატელოს შეგირდების უპირატესობა აშკარა გახდა და მათ ბელგიელები გაანადგურეს. აღსანიშნავია, რომ მატჩს საქართველოსა და ბულგარეთის ნაკრებები (ბულგარელები ჯგუფიდან ბელგიის გამარჯვების შემთხვევაში გადიოდნენ) სრული შემადგენლობით ესწრებოდნენ და ემოციების გამოხატვასაც არ ერიდებოდნენ, თამაშის შემდეგ კი ქართველებმა უკრაინელი კალათბურთელები ალალი შეძახილებით დააჯილდოვეს.

უკრაინისა და ბელგიის ნაკრებთა მატჩის დასრულების შემდეგ, ქართველი კალათბურთელები გულშემატკივრებში გაერივნენ და ისტორიული წარმატება ემოციურად აღნიშნეს. საქართველოს ნაკრების წევრებმა ქომაგებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს, მათთან ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღეს და ქვეყნის ჰიმნიც ხმაშეწყობილად შეასრულეს. საყოველთაო ზეიმში გუნდის კაპიტანი ზაზა ფაჩულიაც მონაწილეობდა, რომელმაც ფრიად სამწუხარო ამბავიც გვამცნო. საქართველოს ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ტრავმა სერიოზული გამოდგა და გაწყვეტილი კუნთის გამო, ზაზა მინიმუმ თვეს ველარ ითამაშებს, ამდენად, მისთვის ევროპის ჩემპიონატი დასრულებულია...

— მატჩის დასაწყისში კუნთი კი მტკიოდა, მაგრამ შევიხვიე და მეგონა, პრობლემა არ შემექმნებოდა. თუმცა თამაშის მსვლელობისას ვიგრძენი, რომ რაღაც ჩაწყდა. მოედნიდან გავედი, მაგრამ ბოლო მეოთხედში, გუნდს დახმარება რომ დასჭირდა, მწვრთნელს ვუთხარი — მოედანზე გავალ, იქნებ შევძლო-მეთქი. გამოვედი, მაგრამ ტკივილმა იმატა და სათადარიგოთა სკამზე დავბრუნდი. კუნთის მყესი ორგანაა გაწყვეტილი, ერთგან 1 სმ-ზე, მეორეგან — 0.5 სმ-ზე. დაახლოებით ერთი თვე უნდა დავისვენო. არადა, რა ჯგუფი შეგვხვდა — ფინეთთან და მაკედონიასთან ძველი ანგარიშები მაქვს! — განაცხადა ფაჩულიამ.

ამგვარად, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა 2 მოგებითა და 3 მარცხით, რუსეთისა და სლოვენიის კვალად, მესამე ადგილი დაიკავა და ვილნიუსში მიდის, სადაც 8 სექტემბრიდან ფ ჯგუფის მატჩებში ჩაებმება.

**საბოლოო მდგომარეობა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 5 | 0 | 371:321 | 10 |
| 2.სლოვენია | 4 | 1 | 356:324 | 9 |
| 3.საქართველო | 2 | 3 | 352:343 | 7 |
| 4.ბულგარეთი | 2 | 3 | 339:357 | 7 |
| 5.უკრაინა | 2 | 3 | 322:327 | 7 |
| 6.ბელგია | 0 | 5 | 304:372 | 5 |

უკვე ცნობილია, რომ მეორე ეტაპზე ქართველთა მეტოქეები მაკედონია, საბერძნეთი და ფინეთი იქნებიან, თანაც პირველ ორს საწყის რაუნდში მოპოვებული გამარჯვებებიც გადაჰყვებათ, ფინეთი კი ჩვენს დარად, ვილნიუსში უქულოდ მოდის.

8 სექტემბერს, საქართველოს ნაკრები მაკედონიას ეთამაშება, 10-ში — ფინეთს, ხოლო 12-ში — საბერძნეთს. ექვსეულის ოთხი საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალის საგზურს მიიღებს და ასპარეზობას ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს.

აქვე გაგაცნობთ მეორე ჯგუფური ეტაპის სატურნირო ცხრილსა და თამაშების განრიგს.

**ფ ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 1.მაკედონია | 2 | 0144:1284 |
| 2.რუსეთი | 2 | 0130:1224 |
| 3.სლოვენია | 1 | 1151:1403 |
| 4.საბერძნეთი | 1 | 1139:1333 |
| 5.საქართველო | 0 | 2133:1522 |
| 6.ფინეთი | 0 | 2131:1532 |

**8 სექტემბერი:** 16:30 საქართველო-მაკედონია; 19:00 ფინეთი-რუსეთი; 22:00 სლოვენია-საბერძნეთი

**10 სექტემბერი:** 16:30 საქართველო-ფინეთი; 19:00 მაკედონია-სლოვენია; 22:00 საბერძნეთი-რუსეთი

**12 სექტემბერი:** 16:30 სლოვენია-ფინეთი; 19:00 საბერძნეთი-საქართველო; 22:00 რუსეთი-მაკედონია

გეტყვით იმასაც, რომ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ე ჯგუფში საფრანგეთი, სერბეთი, ესპანეთი, თურქეთი, ლიტვა და გერმანია ითამაშებენ.

**ე ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 2 | 0173:1614 |
| 2.სერბეთი | 1 | 1171:1613 |
| 3.ესპანეთი | 1 | 1148:1443 |
| 4.თურქეთი | 1 | 1133:1323 |
| 5.ლიტვა | 1 | 1154:1593 |
| 6.გერმანია | 0 | 2129:1512 |

**7 სექტემბერი:** 16:30 გერმანია-ესპანეთი; 19:00 თურქეთი-საფრანგეთი; 22:00 სერბეთი-ლიტვა;

**9 სექტემბერი:** 16:30 ესპანეთი-სერბეთი; 19:00 გერმანია-თურქეთი; 22:00 ლიტვა-საფრანგეთი;

**11 სექტემბერი:** 16:30 სერბეთი-თურქეთი; 19:00 საფრანგეთი-ესპანეთი; 22:00 ლიტვა-გერმანია;

# დელ ნიდო ახალ აჯანყებას ამზადებს

ესპანური გამოცემა მარკას ცნობით, 2011-2012 წლების სეზონში ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბები ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან 657,5 მილიონ ევროს მიიღებენ, რომლის 41 პროცენტი ორ კლუბს, „ბარსელონას" და „რეალს" შეხვდება.

ისევე, როგორც ერთი წლის წინ, ესპანური ფეხბურთის გრანდები 135-135 მილიონი ევროთი შეივსებიან, ხოლო დანარჩენი თანხა 18 კლუბზე განაწილდება, რომელთაგან ყველაზე მეტ თანხას 46-46 მილიონს მადრიდის „ატლეტიკო" და „ვალენსია" მიიღებენ.

□„სევილიას" 31 მილიონი შეხვდება, „ბეტისს" — 29 მილიონი, □„ვილიარეალს" — 28 მილიონი. შემდეგ მოდიან „ხეტაფე", „ესპანიოლი", „ატლეტიკი", „რეალ სოსიედადი" და „სარაგოსა".

„ოსასუნა", „მალაგა", „მალიორკა", „ლევანტე", „სპორტინგი", „გრანადა" და □„რაიო ვალეკანო" 14-14 მილიონს მიიღებენ. ტელევიზიისგან ყველაზე ნაკლები □„რასინგს" ერგება — მხოლოდ 13 მილიონი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, „სევილიას" პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნირო გეგმავს 8 სექტემბერს ესპანეთის პრიმერადივიზიონის ყველა კლუბის წარმომადგენელს შეხვდეს, „რეალისა" და „ბარსელონას" გარდა.

დელ ნიდო ტელეტრანსლაციების უფლებების გადახედვას აპირებს. „სევილიას" ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ „რეალი" და „ბარსელონა" ამ სიტუაციაში მონოპოლისტები არიან.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი**
**აზია. შესარჩევი ეტაპი**

ჩრ.კორეა-ტაჯიკეთი ....................... 1:0

**ამხანაგური მატჩები**

ბრაზილია-განა ....................... 1:0
ბოლივია-პერუ ....................... 0:0

**2013 წლის ევროპის ჩემპიონატი (21)**
**შესარჩევი ეტაპი**

შვედეთი-ლიტვა ....................... 4:0
შვეიცრია-ხორვატია ....................... 4:0
შოტლანდია-ბულგარეთი ....................... 0:0
ესპანეთი-საქართველო ....................... 2:0

**ამხანაგური მატჩები (21)**

ავსტრია-საბერძნეთი ....................... 3:2
ინგლისი-ისრაელი ....................... 4:1
პორტუგალია-საფრანგეთი ....................... 1:0

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

იტალია-ისრაელი ....................... 95:96 (ოტ)
პოლონეთი-დ.ბრიტანეთი ....................... 81:88
საქართველო-ბულგარეთი ....................... 69:79
ჩერნოგორია-ფინეთი ....................... 65:71
გერმანია-ლატვია ....................... 81:80
ესპანეთი-თურქეთი ....................... 57:65
საბერძნეთი-ხორვატია ....................... 74:69
სლოვენია-რუსეთი ....................... 64:65
ლიტვა-პორტუგალია ....................... 98:69
მაკედონია-ბოსნია ....................... 75:63
სერბეთი-საფრანგეთი ....................... 96:97 (ოტ)
უკრაინა-ბელგია ....................... 74:61

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

ტიპსარევიჩი-ფერერო .... 7:5;6:7;7:5;6:2
ჯოკოვიჩი-დოლგოპოლოვი 7:6;6:4;6:2
ცონგა-ფიში ....................... 6:4;6:7;3:6;6:4;6:2
ფედერერი-მონაკო ....................... 6:1;6:2;6:0

**ქალები**

სკიავონე-პავლუჩენკოვა ........ 7:5;3:6;4:6
უილიამსი ს.-ივანოვიჩი ....................... 6:3;6:4
პეტკოვიჩი-სუარეს ნავარო ........ 6:1;6:4
ვოზნიაცკი-კუზნეცოვა ....................... 6:7;7:5;6:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# კაპელომ, ბარსელონა შესასწავლიაო

მადრიდის „რეალის" ყოფილი მწვრთნელი და ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი ფაბიო კაპელო მიიჩნევს, რომ ახლო მომავალში კლუბები შეძლებენ, „ბარსელონას" წინააღმდეგობა გაუწიონ.

კაპელოს აზრით, კატალონიელების უპირატესობა დიდხანს არ გაგრძელდება.

— ახლა ისეთი დროა, რომ შესაძლოა მეტოქის შესწავლა, თუნდაც ეს გუნდი მრისხანე „ბარსელონა" იყოს. ყველაზე მთავარია, მოწინააღმდეგის ძლიერი მხარეები შეისწავლო. ეს როგორ უნდა გააკეთო? მათი შეხვედრების ჩანაწერებს მანამადე უნდა უყურო, სანამ გამოსავალს არ იპოვით. მით უმეტეს, როცა ყოველ შეხვედრაში იგებს გუნდი, ყოველ მომდევნო მატჩზე კონცენტრირებას აკეთებს, რაც ძალიან დამღლელია ფეხბურთელისთვის. „ბარსას" ფეხბურთელებს წაგება გაეპარებათ და ეგ იქნება, თანაც ისინი მუდმივად ახალგაზრდები ხომ არ დარჩებიან", — განაცხადა კაპელომ.

## დღის კალენდარი

**7 სექტემბრისთვის**



**წლის 250-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 115 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

მე-13 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ოთხშაბათი

აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოციქულისა ბართლომესი (VI); მოციქულისა ტიტესი, კრეტელი ეპისკოპოსისა, 70-თაგანისა (I); ევლოგისა, ედესელი ეპისკოპოსისა, და პროტოგენი აღმსარებელისა, კარიელი ეპისკოპოსისა (IV); მინასი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (536-552).

**დაიბადნენ:**

1533 — ელისაბედ I, ინგლისის დედოფალი, ტიუდორთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

1870 — ალექსანდრ კუპრინი, რუსი მწერალი.

1912 — დევიდ პაკარდი, ამერიკელი ინჟინერი, ცნობილი ფირმის რეწლეტტ ზაცკარდ„-ის დამაარსებელი.

1916 — სერგი წულაძე, მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერი.

1908 — იოსებ ბუაჩიძე, ქართველი გეოლოგი და ჰიდროგეოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

1948 — გივი ჩუგუაშვილი, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

**გარდაიცვალნენ:**

1829 — სოფიო წულუკიძე-გურიელი, გურიის სამთავროს გამგებელი (1826-1828).

1907 — სალი არმანდი, ფრანგი პოეტი, ლიტერატურაში პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი.

1956 — ოტო შმიდტი, რუსი მეცნიერი-მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოფიზიკოსი. მისი სახელი ეწოდა კუნძულს კარის ზღვაში, კონცხს ჩუკოტკის ზღვის სანაპიროზე და სხვა.

**მოვლენები:**

1822 წელი — ბრაზილიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1892 წელი — პირველი მსოფლიო ჩემპიონი კრივში ჯეიმს კორბეტი გახდა.

1909 წელი — ეჟენ ლუფევრი პირველი მფრინავი იყო, რომელიც აეროპლანით ფრენისას დაიღუპა.

1911 წელი — ფრანგი პოეტი გიიომ აპოლინერი ციხეში ჩასვეს, რადგანაც ეჭვმიტანილი იყო ლუვრიდან „მონა ლიზას" მოპარვაში.

1917 წელი — უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა კორნილოვმა აჯანყება მოაწყო და პეტროგრადისაკენ ცხენოსანთა კორპუსი დაძრა.

1940 წელი — II მსოფლიო ომის დროს ლონდონი ნაცისტებმა დაბომბეს.

1952 წელი — შეიქმნა ინტერპოლი.

1953 წელი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა

პირველ მდივნად ნიკიტა ხრუშოვი აირჩია.

1986 წელი — ეპისკოპოსი დესმონდ ტუტუ, რომელიც კეიპტაუნის არქიეპისკოპოსად დანიშნეს, სამხრეთაფრიკელი ანგლიკანების პირველი შავკანიანი სასულიერო მოძღვარი იყო.

1997 წელი — აღინიშნა მოსკოვის 850 წლის იუბილე.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

უკრაინა — დაზვერვის დღე

მოზამბიკი — გამარჯვების დღე

ბრაზილია — დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

# გრიგოლ რობაქიძის პირადი ბარათები ლიტერატურის მუზეუმშია

ეკა ირემაშვილი

**გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის გრიგოლ რობაქიძის პირადი მიმოწერის გადაცემის საზეიმო ღონისძიება გაიმართა.**

წერილები მუზეუმს გიტა ფონ შტრახვიტცის და ბეტინამ გადასცა. ეს მიმოწერა გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი ერთი წლის უაღრესად პირად, მაგრამ ამავე დროს რობაქიძის ბიოგრაფიის შესწავლისათვის მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს.




გრიგოლ რობაქიძე თანამედროვე ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთ ფუძემდებლად არის მიჩნეული. იგი იმერეთში, სვირში დაიბადა და ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ ესტონეთში ტარტუს უნივერსიტეტში სწავლობდა, მოგვიანებით კი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით გერმანიაში ლაიპციგის უნივერსიტეტი დაამთავრა. გრიგოლ რობაქიძის გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, მწერალი ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი გახდა. იგი „ცისფერყანწელების" ერთ-ერთი დამფუძნებელია. ამ ლიტერატურულმა დაჯგუფებამ, რომელშიც გაერთიანდნენ იმ დროისთვის პროგრესული სიმბოლისტი მწერლები და პოეტები, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შემდგომ განვითარებაში. სწორედ გრიგოლ რობაქიძის აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში გრიგოლ რობაქიძე აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. 1919 წელს იგი იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნილი საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი. იმავე წელს მისი უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა ქართული ლეგაცია სტამბოლში. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ გრიგოლ რობაქიძე აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც მუდმივად განიცდიდა დევნას ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან.

მწერალი გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკური ემიგრანტი — 1946 წლამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში, ხოლო შემდეგ უკვე — შვეიცარიაში. იგი იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწე. მისი უშუალო მოღვაწეობით ემიგრაციაში დაარსდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი და იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. კავშირის თავმჯდომარე კი ევროპაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაური ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი იყო.

გრიგოლ რობაქიძის პროზაზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა, ნიკოს კაზანძაკისმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისმა რომანებმა „გველის პერანგი", „დემონი და მითოსი", „ჩაკლული სული", „გრაალის მცველნი", „მეგი — ქართველი ასული". დიდი პოპულარობა მოიპოვა გერმანულ და სხვა ენებზე რამდენიმეგზის გამოცემულმა მისმა კრებულმა „კავკასიური ნოველები".

გრიგოლ რობაქიძე არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად. გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს გადაწყვეტილი იყო მისი წარდგენა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე, რასაც ხელი შეუშალა მწერლის გარდაცვალებამ.

ქართველი მწერალი 1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა ქალაქ ჟენევაში და იქვე დაიკრძალა. გრიგოლ რობაქიძე ქართველი ემიგრანტების ნინო და კალისტრატე სალიების თაოსნობით საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე გადაასვენეს. მისი ბინა პოლიციამ დალუქა, არქივი კი ლიკვიდაციას შვეიცარიელი მეგობრების ძალისხმევით გადაურჩა.

გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ჩემი ნატვრაა: როცა მე ამსოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს, მეტს არასა ვთხოვ საქართველოს!"

გრიგოლ რობაქიძე ქართველებისთვის ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია. ლიტერატურის მუზეუმისთვის გადაცემული მისი 100-ზე მეტი პირადი წერილი 1882-1962 წლებით არის დათარიღებული და ის გრიგოლ რობაქიძის პიროვნებით დაინტერესებულ მკვლევართათვის მეტად საინტერესო ინფორმაციაა.

# სამხრეთ კორეაში საქართველოს ახალი ელჩი ეყოლება

ნანა მიშელაშვილი

**საქართველოს ახალი ელჩი ეყოლება. პრეზიდენტმა პარლამენტს უკვე წარუდგინა კორეის რესპუბლიკაში ნიკოლოზ აფხაზავას კანდიდატურა.**

**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს იაპონიასა და კორეაში რევაზ ბეში ე წარმოადგენდა. ამჯერად კი კორეში ახალი წარმომადგენლობის გახსნას, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი, კორესთან ურთიერთობების გაღრმავებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ხსნის.**




ნიკოლოზ აფხაზავა საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დაამთავრა.

ნიკოლოზ აფხაზავა 2007-2008 წლებში იყო ტოკიოს სასაკავას მშვიდობის ფონდის პროექტების განყოფილების კოორდინატორი. 2008 წელს კი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საგანგებო დავალებათა ელჩად მუშაობდა. ამავე წლიდან დღემდე არის იაპონიაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი.

2009 წელს ნიკოლოზ აფხაზავას უმცროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგიც მიენიჭა. ნიკოლოზ აფხაზავა ფლობს: ინგლისურ, იაპონურ, იტალიურ და რუსულ ენებს.

პარლამენტის თანხმობის შემდეგ, ნიკოლოზ აფხაზავა კორეაში ელჩი გახდება. მანამდე, კი მის კანდიდატურაზე ფრაქციებსა და კომიტეტებში იმსჯელებენ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დიპლომატიურ სამსახურს არ უკავშირდება, მაგრამ პარლამენტს ეხება მაჟორიტარი დეპუტატის არჩევის საკითხია. ცოტა ხანში ოპოზიცია და უმრავლესობა ერთმანეთს ერთი მანდატისთვის დაუპირისპირდება. საქმე ისაა, რომ თელავის რაიონს მაჟორიტარი დეპუტატი არა ჰყავს. შუალედური არჩევნები კი 2 ოქტომბერს არის დანიშნული. ოპოზიციის ნაწილს პრეტენზიები უკვე აქვს.

ქრისტიან-დემოკრატები თელავის შუალედურ არჩევნებზე ვერც ფასიან და ვერც უფასო საეთერო სარეკლამო დროს ვერ იყენებენ.

ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე აცხადებს, რომ შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით კანონში უცნაური ჩანაწერი არსებობს, რომლის მიხედვითაც, ტელეკომპანიას შეუძლია პარტიას გამოუყოს უფასო სარეკლამო დრო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯერ ფასიან სარეკლამო დროს გაყიდის.

არსებულ რეალობაში კი ნაციონალურმა არხებმა ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დროის გაყიდვაზე უარი თქვეს, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ არც უფასო დროს არ გამოყოფენ.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, ვეფხვაძის თქმით, ამ არხმა თავდაპირველად სარეკლამო დრო გამოყო, თუმცა შემდეგ უარი თქვა იმ არგუმენტით, რომ შუალედურ არჩევნებზე მას ამის ვალდებულება არ გააჩნია.

— მაშინ, როდესაც ტელევიზიის მეშვეობით ყოველ ერთ საათში გადის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით შესრულებული კლიპი, სადაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერი საზოგადოებას ამცნობს, თუ როგორი კარგია რომ ბოლო წლებში პენსია გაიზარდა, შუალედური არჩევნების წინ მასში მონაწილე პარტიებს, აშკარა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს. არა მგონია, ეს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ მოიწონოს, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

ვინ მიიღებს კიდევ ერთ მანდატს პარლამენტში და ვისი რიგები გაიზრდება ერთი წევრით, ეს ოქტომბრის დასაწყისში გაირკვევა.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. თანამედროვე ბრიტანელი თეატრის რეჟისორი; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ხურდა ფული ბრაზილიაში; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 9. თავაშვებული დროსტარება; 12. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 15. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 17. საფრანგეთის პირველი ლედი; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად:** 6. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 7. ბრონეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. საგანგებოდ მოპატიჟებულ სტუმართათვის გამართული ნადიმი; 16. უბანი თბილისში; 19. მრგვალად, უწახნაგოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 20. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაფი; 2. ემუ; 3. რეზერვატი; 4. ტოსკა; 5. ხატწერა; 8. რალი; 9. ხინკალი; 10. გენოტიპი; 12. მახვში; 13. კაენი; 15. ზაირი.

**თარაზულად:** 1. კასრაძე; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. გიენა; 11. ბლიკი; 13. კაკაო; 14. მაზდა; 16. ვერე; 17. იაშვილი; 18. მარიცა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაჯაღლო; 2. ალუვი; 3. გეოლოგია; 4. ფანტომი; 5. საწნახელი; 9. ბრაილი; 12. ქლუხორი; 14. პაგოდა; 15. ტუბა; 17. ვერძი; 18. ანძა.

**თარაზულად:** 6. შატილი; 7. გერმანია; 8. ზანავი; 10. დოგმა; 11. მონოგრაფია; 13. ეპისტოლე; 16. ალიევი; 19. ნიკოლაძე; 20. საქსონია.

## ქარიშხალი „კატია“ მეოთხე კატეგორიამდე გაძლიერდა

ქარიშხალი „კატია“ საფირა-სიმპსონის შკალით მეოთხე კატეგორიამდე გაძლიერდა, — იუწყება უცხოური მედია.

ამჟამად „კატია“ ბერმუდის კუნძულების სამხრეთით, მისგან 725 კილომეტრის დაშორებით ქრის. ქარიშხალი ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიიწევს. ქარის სიჩქარე საათში 215 კილომეტრს აღწევს.

სპეციალისტთა გაანგარიშებით, გრიგალი აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს არ შეეხება. როგორც ცნობილია, „კატიას“ მეორე კატეგორია ჯერ კიდევ 4 სექტემბერს მიენიჭა. 1 სექტემბერს კი ტროპიკული შტორმი „კატია“ ქარიშხლად იქცა. **მედიანიუსი**


მუამარ კადაფი

## ბელგიამ კადაფის რეჟიმს 14 მილიონი ევრო დაუბლოკა

ბელგიის ბანკებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე ლიბიის ყოფილი ლიდერის მუმარ კადაფის რეჟიმის კუთვნილი 14 მილიარდი ევროს აქტივებია ბლოკირებული.

ბელგიური მედიის ინფორმაციით, ზემოხსენებული თანხის დიდი ნაწილი 12.8 მილიარდი ევრო ეუროცლეარ-ში ინახება, ხოლო ბანკ ლXჩ-ში 840 მილიონი ევროა ბლოკირებული. კადაფი ფულს ასევე ინახავდა შემდეგ ბანკებში: Iტპ, Xტზ ზარიბას პორტის.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბანკებში კადაფის რეჟიმის წარმომადგენლების ანგარიშები მას შემდეგ გაიყინა, რაც გაერომ პოლკოვნიკი კადაფი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალის გადამეტებაში დაადანაშაულა და სანქციები დაუწესა.

ამჟამად ლიბიის ყოფილი მმართველის ადგილსამყოფელი უცნობია. სავარაუდოდ, მან ლიბია დატოვა ალჟირში გადავიდა. **მედიანიუსი**

## ობამას რეიტინგი ბოლო სამი წლის განმავლობაში რეკორდულად დაეცა


ბარაკ ობამა

აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას რეიტინგი ბოლო სამი წლის განმავლობაში რეკორდულად დაბალ ნიშნულამდე დაეცა.

„ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, გამოკითხულ ამერიკელთა 60%-ზე მეტი ამერიკის პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკით უკმაყოფილოა.

მათი ნახევარი ობამას ქმედებებს მკაცრად გმობს, იმ მოქალაქეთა ორ მესამედზე მეტი კი, რომლებმაც მას არჩევნებზე ხმა მისცეს, აცხადებს, რომ იმედგაცრუებულია.

აღსანიშნავია, რომ უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი უმუშევრობაა. გასულ თვეში მისმა დონემ 9,1%-ს მიაღწია.

გამოცემის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, მხოლოდ ამერიკელების მეოთხედს სჯერა, რომ ობამა აშშ-ს პრობლემებისგან გადაარჩენს, მაშინ, როცა უმრავლესობა მისი პოლიტიკური პროცესის არაეფექტურობაზე საუბრობს. **პირველი**


სიღნაღი

## სიღნაღში საჰაერო ბურთებით იფრენენ

ტურიზმის განვითარების მიზნით, სიღნაღში საჰაერო ბურთებით იფრენენ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნოდარ კოჭლამაზაშვილის თქმით, ბურთებით ფრენა სიღნაღის თავზე 20-25 კილომეტრის რადიუსით იგეგმება.

— კომპანია, რომელიც სიღნაღში ჰაერნაოსნობას გეგმავს, სხვადასხვა სიმაღლეზე ქარის მიმართულებას სწავლობს. საცდელად საჰაერო ბურთების გაფრენა უკვე მოხდა და კიდევ რამდენჯერმე მოხდება. ასაფრენი მოედანიც უკვე შერჩეულია. ტურისტული დანიშნულების საჰაერო ფრენა კი სექტემბრის ბოლოს მოეწყობა. იგეგმება ფესტივალის საქართველოს საერთაშორისო ჰაერნაოსნობის ფიესტა„ ჩატარება. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ საჰაერო ბურთებში ჩასხდნენ და სიღნაღი ზემოდან დაათვალიერონ. თუ ფესტივალი შედეგს მოგვცემს, შემდეგ შეიძლება ტურისტული მარშრუტი გაკეთდეს, — განაცხადა სიღნაღის გამგებელმა. **მედიანიუსი**

## ქარელის საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე დააკავეს

ქარელში ადგილობრივი საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე მარად გაგნიძე და საჯარო რეესტრის ქარელის ბიუროს უფროსი არჩილ ნადირაძე დააკავეს.

„პირველის“ ინფორმაციით, აღნიშნული პირები გასულ კვირა დღეს მიწების გასხვისების საკითხთან დაკავშირებით დააკავეს და ამ დროისთვის 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

საქმის სხვა დეტალები ამ ეტაპზე უცნობია.

პროკურატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. **პირველი**

## თანამედროვე ტექნიკის გამოფენა გაიხსნა


ბაკურ კვეზერელი

კახეთის გზატკეცილზე ბელარუსში წარმოებული თანამედროვე, მაღალწარმოებადი ტექნიკის გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო დანადგარები და მიმდინარეობდა ტექნიკის სადემონსტრაციო ჩვენება. გამოფენას სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი დაესწრნენ.

თანამედროვე ტექნიკის გამოფენა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება და 8 სექტემბრამდე გაგრძელდება.

— დღეიდან, ქართველ ფერმერებს საშუალება აქვთ, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ბელარუსის თანამედროვე ტექნიკა განვადებით შეიძინონ ახლა უკვე კერძო კომპანიებისაგან, რაც პირველად ხორციელდება საქართველოში. ფერმერებს შეეძლებათ, თავდაპირველად, პირველადი შენატანი, ანუ ღირებულების 15 % გადაიხადონ და შემდგომი 5 წლის განმავლობაში კი, სრულად დაფარონ ტექნიკის საფასური. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ძალიან ბევრი ფერმერი ისარგებლებს განვადებით და ამ ტექნიკას შეისყიდის, — განაცხადა გამოფენის გახსნისას ბაკურ კვეზერელმა. **მედიანიუსი**

## თურქეთი ისრაელთან ყველა სამხედრო და ეკონომიკურ კონტაქტს ყინავს


რეჯეფ ტაიპ ერდოღანი

თურქეთი ისრაელთან ყველა სამხედრო და ეკონომიკურ კონტაქტს ყინავს.

ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომლის თქმით, თურქეთის ხელისუფლება უახლოეს მომავალში ისრაელთან დაკავშირებით დამატებით სანქციებს შემოიღებს.

აღსანიშნავია, რომ ერდოღანის განცხადება მალევე გაჟღერდა მას შემდეგ, რაც თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკიური სამმართველოს ხელმძღვანელმა ამოს გილადმა განაცხადა, რომ ისრაელის სამხედრო ატაშე საელჩოში მუშაობას გააგრძელებს. ამასთან, თურქეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ თურქეთის გემები კურსს აიღებენ ღაზას სანაპიროსკენ, თავად კი უახლოეს მომავალში სექტორში ჩასვლას გეგმავს.შეგახსენებთ, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობები 2 სექტემბერს, მას შემდეგ დაიძაბა, რაც ისრაელის ოფიციალურმა პირებმა უარი განაცხადეს ბოდიშის მოხდაზე „თავისუფლების ფლოტილიასთან“ დაკავშირებული გასული წლის ინციდენტის გამო, ხოლო თურქეთმა ქვეყნიდან ისრაელის ელჩი გააძევა.

როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში იყო აღნიშნული, „ისრაელმა თურქული ულტიმატუმის პირობები არ შეასრულა“.2010 წლის 31 მაისის ღამეს ისრაელის საჰაერო ძალებმა „თავისუფლების ფლოტილიის“ გემებზე, რომელიც ღაზას სექტორის საზღვაო ბლოკადის გარღვევას ცდილობდნენ, შეტევა განახორციელეს. შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა, 33 კი დაიჭრა. ბორტზე დაახლოებით 600 უფლებადამცველი იმყოფებოდა, რომელთა უმრავლესობა თურქეთის მოქალაქე იყო. **პირველი**

## მეუღლესთან სექსის უქონლობის გამო 8,5 ათასი ევროთი დააჯარიმეს

საფრანგეთის 51 წლის მოქალაქე, ნიცას მკვიდრი ჟან ლუი მეუღლესთან სექსის უქონლობის გამო 8,5 ათასი ევროთი დააჯარიმეს, — იუწყება ბრიტანული გამოცემა.

ჟან ლუის მეუღლემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მოითხოვა გაყრა და 10 ათასი ევრო ქმართან 21-წლიანი ქორწინების განმავლობაში სექსის უქონლობის გამო კომპენსაციისათვის. ჟან ლუი განქორწინებაზე დათანხმდა, თუმცა კომპენსაციის გადახდაზე უარი განაცხადა და თავი გადაღლილობითა და ჯანმრთელობის პრობლემებით იმართლა.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლზე დაყრდნობით (215-ე მუხლის თანახმად მეუღლეები ერთად უნდა ცხოვრობდნენ), მოსამართლემ ჟან ლუის გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და განაცხადა, რომ სექსი ქორწინების აუცილებელი კომპონენტია, რომელიც წყვილის ერთმანეთისადმი სიყვარულს გამოხატავს.

აღსანიშნავია, რომ ჟან ლუიმ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა იქაც დამარცხდა. სააპელაციო სასამართლომ კომპენსაციის თანხა 10 ათასი ევროს ნაცვლად 8,5 ათასი ევროთი განსაზღვრა. **მედიანიუსი**

## გერჰარდ შრიოდერი ევროპაში შეერთებული შტატების შექმნის იდეით გამოდის


გერჰარდ შრიოდერი

გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი, რომელიც ზემოხსენებულ თანამდებობაზე 1998 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა, ევროპაში შეერთებული შტატების შექმნის იდეით გამოდის. გერმანიის ექს-კანცლერის აზრით, სწორედ შეერთებული შტატები მისცემს ევროკავშირს აშშ-ისა და აზიური ქვეყნების კონკურენციის დაძლევის შესაძლებლობას.

როგორც მან ერთ-ერთ გერმანულ გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ევროზონაში ფისკალური კავშირი უნდა შეიქმნას, რაც შეერთებული შტატების წევრი ქვეყნების მიერ საბიუჯეტო პოლიტიკის სფეროში სუვერენიტეტზე უარის თქმას ნიშნავს.

შრიოდერის იდეის მიხედვით, ევროპის შეერთებული შტატები ერთიან ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას უნდა დაეფუძნოს.

— ევროკომისია კი მთავრობად უნდა გარდაიქმნას, რომელსაც ევროპარლამენტი გააკონტროლებს, — აღნიშნა მან. **მედიანიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები



მშობლები — აკაკი (ხუტა) და დოდო ხერგიანები, მეუღლე დიანა, ქალიშვილი ლუიზა, და-ძმები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ვაჟიშვილის

**ვახტანგ (ვახო) ხერგიანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: სამშაბათსა და ოთხშაბათს, 6, 7 სექტემბერს, ზემო ვეძისის II ჩიხი, №4.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 8 სექტემბერს, საბურთალოს სასაფლაოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრიდან (ეკლესია აშენებულია თენგიზ გაზდელიანის თაოსნობით).

მირონ და დარეჯან ხერგიანების ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს აკაკი (ხუტა) და დოდო ხერგიანებს ვაჟიშვილის

**ვახტანგ (ვახო) ხერგიანის**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

### ოთხშაბათი 7 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 08.30 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 09.30 სათავგად. ფილმი **"მეფე სოლომონის საბადოები"** 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 მეხსიერება 14.00 დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" 15.00 სერ. **"კრიმინალური სეზონი"** 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 ჩვენი სამართალი 18.30 სილამაზის ფორმულა 19.00 დოკ. ფ. "რომი, იმპერიის ალმავლობა და დაცემა" 21.00 სერ. **"კრიმინალური სეზონი"** 22.00 **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მე-2 ჯგუფური ეტაპი 23.50 აივანი 00.20 მხ. ფილმი **"ბრწყინვალე გონება"** (რ. ქროუ) 02.40 მოამბე 03.00 ევროპული არჩევანი 04.30 მხ. ფილმი **"ტომი ბიჭი"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "სამყარო" 20.00 მხ. ფილმი **"ფრანკენშტეინი"** 01.00 მხ. ფ. **"ყასაბის ცოლი"**

08.00 კურიერი 08.25 ან. ფილმი "ტრანსფორმერები" 09.00 სერ. **"კლუბი"** 10.00 სერ. **"ცოდვილი"** 11.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სერ. **"მაშველები"** 13.30 ქართ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 ამერიკის სასაცილო ვიდეოები 19.45 სერ.**"ახალგაზრდა ქვრივი"** 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 01.00 ექსტრემალური შეჯიბრებები 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ბარბი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.30 ქრონიკა 09.15 ან ფილმი "სპანჯბობი" 09.40 სერ. **"ჰანა მონტანა"** 10.00 სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** 11.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. **"მეტოქეები"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.40 სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 ბათუმი ლაივი 00.00 კონცერტი 01.45 მხ. ფილმი **"კომანდო"** (15) (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) 03.45 მხ. ფილმი **"ნამდილი მაკკოი"** (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ.**"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "შეჰერაზადა" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ.**"დაკარგული ქვეყანა"** 13.00 მხ. ფილმი 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ელიზა"** 21.00 სერ.**"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** 10.00 დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** 12.50, 19.35 სერ. **"შექსპირიადა"** 15.15 სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** 16.00 დოკ. ფილმი "ისინი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ზოგი ჭირი მარგებელია"** 13.45 კონცერტი– რ. სებისკვერაძე 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 მხ. ფილმი **"მოლოდინი"** 16.30 დოკ.ფ."ველური ბუნება" 16.55 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 "დიდ ხარ შენ უფალო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"ორი ოჯახი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 დოკ. ფილმი **"ყველაფერი ქორეოგრაფიაზე"** 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 01.00 კონცერტი – ანდრე რიე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,641
ევრო —2,3815
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

## ამინდის პროგნოზი 7 სექტემბრისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-2§, ღამით — 8-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-25, ღამით — 1§-29

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-23, ღამით — 19-15





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი
ფასი: 69 თეთრი

## გუმბათი

**ნუგზარ ჯუღელი: „10 წელია ყოველ დილით მამადავითზე წირვას ვესწრები“**

**გურამ ფირცხალავა: „ამ სიბერეში ფული შემძულდა“**

**თამარ ურუშაძე: „ჟურნალისტმა აბსოლუტურად ყველა სფეროში შეიძლება იგრძნოს თავი კომფორტულად“**




# ქართველების ბედი — მაგათი ვოლფსბურგს წვრთნის



კიდევ კარგი, გერმანული „ვოლფსბურგის“ მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი საქართველოს ნაკრებში არ მუშაობს, თორემ ჩვენი ფეხბურთელები ისეთ ვალში გადავარდებოდნენ, რომ შთამომავლობა ვერ გაუსტუმრებდა. საქმე ის არის, რომ მაგათის გუნდის ფეხბურთელებისთვის ჯარიმების მთელი სისტემა აქვს მოფიქრებული.

აღსანიშნავი ის არის, რომ გერმანული კლუბის თავკაცი დისციპლინარული ჯარიმების გარდა, ფეხბურთელებს მოედანზე დაშვებული შეცდომებისა და ტაქტიკის შეუსრულობის გამოც აჯარიმებს.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ბუნდესლიგის მესამე ტურის შეხვედრაში, სადაც „ვოლფსბურგი“ „გლადბახს“ შეხვდა, ფელიქს მაგათიმ გუნდის თავდამსხმელები პატრიკ ჰელმესი და მარიო მანჯუკიჩი 10.000 ევროთი დააჯარიმა, რადგან ფეხბურთელები ბურთის დაკარგვის დროს პრესინგს არ მიმართავდნენ.

მაგათის ჯარიმების სიტემაში ასევე შემდეგი პუნქტებია: არასწორი პასის შემთხვევაში ფეხბურთელი 1.000 ევროთი დაჯარიმდება. არასწორ პასად ითვლება უკან გადაწოდებული არასავალდებულო პასებიც. ბურთის არასწორი გაჩერება კი 500 ევროთი ისჯება. ამ შემთხვევაში არასწორ გაჩერებად ითვლება, როცა პასის მიღების დროს ბურთი ფეხბურთელს თუნდაც აუხტება არასავალდებულო სიმაღლეზე.

ასე რომ, ილოცეთ, ქართველო ფეხბურთელებო!

მ. ჟ.

# თამარ გვერდწითელი საოპერო არიებს შეასრულებს

ეკა ირემაშვილი



ქართველი მომღერალი თამარ გვერდწითელი, რომელიც რუსეთში დიდი წარმატებით მოღვაწეობს, ახალ პროექტში ჩაერთო. რუსეთის ტელევიზიამ დაიწყო გრანდიოზული შოუს „ოპერის მოჩვენება“ განხორციელება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ასაკის 8 წარმატებული და პოპულარული პოპვარსკვლავი. მათ შორის მხოლოდ ერთადერთი მომღერალია ქართველი — თამარ გვერდწითელი. პროექტის ავტორებმა „ოპერის მოჩვენებისთვის“ შეარჩიეს — ლევ ლეშენკო, თამარ გვერდწითელი, ვალერია, ფილიპ კირკოროვი, სერგეი ლაზარევი, დიმა ბილანი, ანი ლორაკი და პოლინა გაგარინა.

პროექტის ავტორთა გადაწყვეტილებით, გადაცემაში მომღერლებმა საოპერო არიები და რომანსები რუსულ ენაზე უნდა შეასრულონ. მონაწილეებს საოპერო ვოკალის პედაგოგებთან სარეპეტიციოდ მხოლოდ ერთი კვირა მიეცათ. უკვე ცნობილია, რომ თამარ გვერდწითელს საოპერო არიების შესრულება უშუალოდ დიმა ბილანთან ერთად მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მომღერლისთვის საოპერო არიები არცთუ ისე უცხოა, გვერდწითელი აქტიურად გადის რეპეტიციებს პედაგოგთან.

თამარ გვერდწითელმა უკვე შეასრულა კარმენის არია დნეპროპეტროვსკის ოპერის სცენაზე, სადაც მას პარტნიორობას უწევდა სახელგანთქმული ტენორი ვლადიმერ გრიშკო. თამარ გვერდწითელს ამ პროექტის დაბრკოლებები არ აღელვებს, რადგან ის 8 ენაზე მღერის — ქართულად, რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად, ესპანურად, უკრაინულად და ძველებრაულად.

პროექტის „ოპერის აჩრდილი“ ჟიურის წევრები არიან — ლიუბოვ კაზარნოვსკაია, ზურაბ სოტკილავა, ელენა ობრაზცოვა, ანნა ნეტრებკო და რომან ვიკტიუკი. ისინი მონაწილეებს ხუთბალიანი სისტემით შეაფასებენ.

ახალ რუსულ პროექტში მონაწილეობის პარალელურად, ქართველი მომღერალი ხანმოკლე პაუზის შემდეგ, კვლავ აზერბაიჯანს ეწვევა. თამარ გვერდწითელი ბაქოში დაგეგმილი კონცერტისთვისაც უკვე აქტიურად ემზადება, რომელსაც 20 დეკემბერს გამართავს. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს პირველი ლედის პატრონაჟით ხორციელდება. ღონისძიების ორგანიზატორი თამარ გვერდწითელის ქართველი მენეჯერი დავით ოქიტაშვილია. მისი თქმით, ბაქოში ქართველი მომღერლის გრანდიოზული საღამო იგეგმება. თამარ გვერდწითელი მეგობრებთან ერთად იმღერებს. კონცერტი ბაქოში ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილას არის დაგეგმილი.

თამარ გვერდწითელმა ბოლო პერიოდში საქართველოშიც გამართა კონცერტები. იგი ანსამბლ „მზიურის“ ვარსკვლავის გახსნისთვის სპეციალურად ეწვია ჩვენს დედაქალაქს, მაისის თვეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დალოცვილი გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა, ხოლო 15 აგვისტოს კი ბათუმში პიაცას მოედანზე მიშელ ლეგრანთან ერთად ფონდ „იავნანასთვის“ იმღერა

# ასტროპროგნოზი 7 აგვისტოსთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ტყუპები** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია არ მოდუნდეთ. **კირჩხიბი** — ყველა სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **მერწყული** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თევზები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 2. ქუთაისური ლუდი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 5. პაატა ბურჭულაძის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ორგანიზაცია; 8. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მონასტერი თბილისის მახლობლად; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი ახალ ინგლისურ ენაში; 13. საბანკო შეტყობინება; 15. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური თამაში-წარმოდგენა; 6. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 7. თეთრი ლაქა თვალის გუგაზე; 10. მოკლე სადღეგრძელო; 11. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 13. კლოუნის ნომერი ცირკში, ყალბი, ხმაურიანი სილა ლოყაში; 14. უმსხვილესი გერმანული მეტალურგიული მანქანათმშენებელი კონცერნი; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 18. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# სწორად უგებთ თუ არა მამაკაცებს

**ტესტი**



1. თავს კარგად მხოლოდ იმ მამაკაცებთან ვგრძნობ, რომლებიც ჩემზე უფრო განათლებული არიან და უფრო მეტ ფულს შოულობენ.
2. როდესაც მამაკაცი ჩემზე უფრო ნაკლებად არის დაინტერესებული ჩვენი ურთიერთობით, თავი უსარგებლოდ მიმაჩნია.
3. არ მომწონს, როდესაც ვგრძნობ, რომ მამაკაცს რაღაცის ეშინია.
4. მე მგონი, მამაკაცებს უყვართ ქალების გაცურება.
5. მაღიზიანებს, როდესაც მამაკაცი მოდას ყურადღებას არ აქცევს და ჩაცმა არ იცის.
6. მომწონს, როდესაც მამაკაცი ჩემზე ძლიერი და გამოცდილია.
7. არ მსურს რაიმე საერთო მქონდეს მამაკაცთან, რომელიც სხვას უფლებას აძლევს რამე უბრძანოს, ან თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს.
8. მამაჩემი ძლიერი და ნიჭიერი მამაკაცი იყო, მან მომცა ყველაფერი, რაც ოდესმე დამჭირვებია.
9. ემოციების გამოვლენას ქალებს უფრო ვპატიობ, ვიდრე მამაკაცს.

**დადებითი პასუხების ოდენობის მიხედვით:**

**0-3 ქულა:** მამაკაცებს აღიქვამთ რეალისტურად, ილუზიების გარეშე, ისინი თქვენს გვერდით თავს ბუნებრივად და ლაღად გრნობენ.

**4-6 ქულა:** მამაკაცებზე ილუზორული წარმოდგენა გაქვთ. რაც მისი გაღიზიანების და დისკომფორტის მიზეზი შეიძლება გახდეს.

**7-9 ქულა:** არასწორი წარმოდგენა გაქვთ მამაკაცებზე, რაც სერიოზული პრობლემების მიზეზი ხდება.


ლურჯი წითელი ყვითელი შავი